# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge




იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


პარასკევი, 9 ივნისი. 2017 წ. №115 (8252), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

3

## მთავრობა, რომელიც მთავრობას აღარ ჰგავს

ნუგზარ ფოფხაძე:

4

## თუ ამ წერილს დაკვირვებით გაეცნობით, „რაღაც“ შეკითხვებზე პასუხსაც იპოვით

**განა საქართველოს ხელისუფლებისათვის და სამართალდამცველი ორგანოებისათვის უცნობია აზერბაიჯანელი ოპოზიციონერების საქმიანობა? ან მათი შეხვედრები დასავლელ ემისრებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დასავლელი სპეცსამსახურების კონტროლქვეშ იმყოფებიან?**

## ლადლობის წერილი ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტისგან

საქართველოს პრეზიდენტმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტისგან საგაზაფხულო სესიაში მონაწილეობისათვის მადლობის წერილი მიიღო:

**„ბატონო პრეზიდენტო,**

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სახელით, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენს ულამაზეს დედაქალაქში საგაზაფხულო სესიაში მონაწილეობისათვის. ვაცნობიერებ რა თქვენს დატვირთულ გრაფიკს, განსაკუთრებულად მადლიერი ვარ შეხვედრაში მონაწილობის გამო. თქვენმა გულწრფელმა და მნიშვნელოვანმა შენიშვნებმა ხაზი გაუსვა იმ წვლილს, რომელიც რთული გეოპოლიტიკური გარემოს მიუხედავად, საქართველოს შეაქვს საერთო უსაფრთხოების საქმეში.

თქვენს მოწოდებას ქართველი პოლიტიკოსების მიმართ — გაერთიანდნენ და ევროპული დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპები განახორციელონ მოქალაქეების ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყვა დელეგატების მხრიდან.

ასევე მოხარული ვარ, რომ სხდომის დაწყებამდე მომეცა თქვენთან სხვადასხვა საკითხის განხილვის საშუალება, განსაკუთრებულად ვაფასებ ჩვენს ღია და გულწრფელ დიალოგს.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის საქართველოში ჩატარება ისტორიული შემთხვევაა, როგორც საქართველოსთვის, ასევე ასამბლეისთვის. მოხარული ვარ, რომ ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების კიდევ ერთხელ, ნათლად დადასტურდა სხდომის მიერ მიღებულ დეკლარაციაში.

ასამბლეა ძალისხმევას არ დაიშურებს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე დასახმარებლად.

**კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ უმნიშვნელოვანესი წვლილისთვის, რომელიც შეხვედრაში შეიტანეთ ასამბლეის მუშაობაში“,** — აღნიშნულია პაოლო ალის წერილში, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

## „საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოს კარები ღიაა“

ეს განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ფრანგულ Le Figaro-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

**„აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე უნდა იყოს 29 ქვეყნის კონსენსუსის შედეგი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რუსეთს არ ექნება უფლება, დაბლოკოს ეს პროცესი. ყველა სუვერენულ სახელმწიფოს უფლება აქვს, თვითონ აირჩიოს თავისი გზა. უნდა** **აღვნიშნო, რომ არა ნატო ფართოვდება აღმოსავლეთით, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებიც მიისწრაფიან ნატოსკენ. ალიანსი ძლიერ იმედს წარმოადგენს ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისთვის. ჩვენ მათ კარები გავუღეთ, ვინაიდან ჩვენი კარი ყოველთვის ღიაა“,** — დასძინა იენს სტოლტენბერგმა.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებაზე მორატორიუმი ცხადდება

**სასოფლო-სამეურნეო** დანიშნულების მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისებაზე მორატორიუმი ცხადდება. საპარლამენტო უმრავლესობაში მომზადებული კანონპროექტის თანახმად, მორატორიუმი შეეხება კანონის იმ მუხლს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გასხვისების შესაძლებლობას იძლევა.

ამავდროულად, იგეგმება პარლამენტში დაახლოებით ერთი კვირის წინ ინიცირებული კანონპროექტის გაწვევა, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით რეგულაციების შემოღებას ითვალისწინებდა.

მორატორიუმთან დაკავშირებულ კანონპროექტს პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს.

## ბადაშვილი გამყრელიძემ შეცვალა

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ლევან გამყრელიძე დაინიშნა. საგამოძიებო სამსახურის ახალი უფროსი ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ოფიციალურად წარადგინა.

ლევან გამყრელიძე ამ დრომდე შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

EXPO 2017
Future Energy
Astana Kazakhstan

## ყაზახეთში მუშაობას იწყებს საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „ექსპო-2017“

5

## როგორ გაყიდეს ამერიკავკასიის სამხედრო ოლქის საბრძოლო არსენალები გენერლებმა

8

## ქართველი ვაგნერი

6

## მუსიკის მსახური

## გიორგი კვირიკაშვილი: მიწის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერი პირდაპირ ეხმიანება ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობის მოთხოვნებს

**მივიღეთ გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო კომისიას მივმართოთ ინიციატივით, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, გადაწყვეტილება მიღებულია კონსულტაციების გზით, რომელში მონაწილეობდნენ მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა.

**„მმართველ გუნდში გაიმართა კონსულტაციები, რომელშიც მონაწილეობდა მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა. მივიღეთ გადაწყვეტილება, საკონსტიტუციო კომისიას მივმართოთ ინიციატივით, რათა კონსტიტუციაში გაკეთდეს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება არ იქნება შესაძლებელი იმ პირებზე, რომლებსაც არა აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსზე, საკუთრების უფლება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეს, საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანებას, სახელმწიფოს და თვითმმართველ ერთეულს. ვფიქრობთ, რომ ეს ჩანაწერი პირდაპირ ეხმიანება იმ მოთხოვნებს, რომელიც ჩვენს მოქალაქეთა უდიდეს უმრავლესობას აქვს და ეს იქნება გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებლად უნდა მიიღოს მმართველმა გუნდმა“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

## ქორწინება კონსტიტუციით განისაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით

**გადაწყდა, რომ წარმოდგენილი იყოს ჩანაწერი, რომ ქორწინება განისაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით,** — ამის შესახებ

ხებ პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მისი განმარტებით, ცვლილების მთავარი ამოცანა არის, რომ გარკვეულ ჯგუფებს არ მიეცეთ საშუალება ჰომოფობიური და ანტიდასავლური განწყობის გაღვივებისთვის.

**„იურიდიული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ქორწინების დეფინიცია უნდა შეესაბამებოდეს სოციალურ აღქმას და სოციალური აღქმა ზუსტად არის ასახული პირველ პუნქტში. ეს არ ნიშნავს დისკრიმინაციის რაიმე ფორმით წახალისებას, ჩვენ პატივს ვცემთ თითოეული ჯგუფის, მათ შორის უმცირესობების უფლებებს და ინტერესებს. შესაბამისად, ეს ჩანაწერი ვერ გახდება დისკრიმინაციის საფუძველი“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე კომიტეტის წევრებს საკონსტიტუციო ცვლილებების იმ მონაკვეთს აცნობს, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება.

## ირაკლი კობახიძე: კონსტიტუციასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციები ძალიან მყარია, პრეზიდენტის პოზიციები — სუსტი

**ირაკლი კობახიძის განცხადებით, ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომას თავად და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამარ ჩუგოშვილი დაესწრებიან, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის მონაწილეობას — პარლამენტის თავმჯდომარე ამის შესახებ ინფორმირებული არ არის.**

ირაკლი კობახიძემ აქვე აღნიშნა, რომ კონსტიტუციასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის პოზიციები სუსტია და ეს 7 ივნისს გამართულ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სხდომაზეც დადასტურდა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, მას არ უკვირს, რომ პრეზიდენტი ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაში მონაწილეობას თავს არიდებს.

**„ჩვენი პოზიციები არის ძალიან მყარი კონსტიტუციასთან მიმართებით და პრეზიდენტის პოზიციები არის უაღრესად სუსტი. ეს დადასტურდა მათ შორის გუშინდელ საკომიტეტო მოსმენაზე. თქვენ გახსოვთ, რომ თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით გვესმოდა აბსოლუტურად დრამატული შეფასებები. საუბარი იყო იმაზე, რომ თითქოს თავდაცვასთან დაკავშირებული ცვლილებები შეაფერხებს საქართველო სვლას ნატოსკენ, თითქოს ეს გამოიწვევს მორღვევას ინსტიტუციური სისტემის. აღმოჩნდა, რომ არსებული პროექტი გამოიწვევს არა ამას, არამედ პირიქით — თვისებრივ გაუმჯობესებას იმ რეგულაციების, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვასთან და უსაფრთხოებასთან. პრეზიდენტის პოზიციები არის უაღრესად სუსტი კონსტიტუციასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, მე არ მიკვირს, რომ ის თავს არიდებს ვენეციაში პლენარულ სხდომაში მონაწილეობის მიღებას“,** — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## მარგველაშვილი შესაძლოა, ვენეციის კომისიაში წავიდეს

პარლამენტის თავმჯდომირის მიერ პრეზიდენტის მისამართით გაკეთებულ განცხადებას მისი პრესსპიკერი ეკა მიშველაძე პასუხობს.

**„ძალიან სამწუხაროა, რომ პარლამენტის თავმჯდომარისგან მუდმივად ვისმენთ შეურაცხყოფას, ლანძღვას და, სამწუხაროდ, ეს ჩვენთვის სიახლე აღარ არის. ვატყობთ ტენდენციებს, რომ გარკვეულ წილად პოლიტიკურ ტრენდად სურთ ასეთი კომენტარების დამკვიდრება. შესაბამისად, ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია.**

**სწორედ, საკონსტიტუციო კომისიის შექმნიდან და პრეზიდენტის პოზიციის გაჟღერების დღიდან, რასაც ამბობდა პრეზიდენტი, სწორედ ის დადასტურდა — ეს კომისია ამ სახით ვერ მივა ვერანაირ კონსენსუსამდე. ამას აღიარებს ყველა, ყველა პოლიტიკური პარტია. ამაზე იყო სწორედ ვენეციის კომისიის რეკომენდაციაც. კომისია ვერ მივიდა კონსენსუსამდე. შესაბამისად, დღეს კითხვა იმაზე კი არ უნდა ჩნდებოდეს, უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა პრეზიდენტმა კომისიაში, არამედ იმაზე, თუ რა სწორი პოზიცია ჰქონდა პრეზიდენტს“,** — განაცხადა ეკა მიშველაძემ. მისივე თქმით, არ არის გადაწყვეტილი, წავა თუ არა პრეზიდენტი ვენეციის კომისიაში.

## სამთავრობო ცვლილება ნამდვილად არის დაგეგმილი

**ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა.**

მისივე ინფორმაციით, სამთავრობო გუნდში მხოლოდ ერთი საკადრო ცვლილებაა დაგეგმილი, რომელიც მერობის კანდიდატს შეეხება. **„მე შემიძლია, გითხრათ, რომ სამთავრობო ცვლილება ნამდვილად არის დაგეგმილი, რადგან გადაწყვეტილია, რომ ერთ-ერთი მინისტრი თბილისის მერობის კანდიდატი იქნება. სხვა არანარი სამთავრობო ცვლილება დაგეგმილი არ არის“,** — განაცხადა სოზარ სუბარმა. დედაქალაქის მერობის კანდიდატის დასახელებას მმართველი გუნდი ახლო მომავალში გეგმავს.

## საკრებულოს წევრად და მერის თანამდებობებზე ასარჩევად, საქართველოში ცხოვრების ორწლიანი ცენზი საჭირო აღარ იქნება

**საარჩევნო კოდექსში ცვლილება იგეგმება — საკრებულოს წევრად, გამგებლისა და მერის თანამდებობებზე ასარჩევად საქართველოში ცხოვრების ორწლიანი ცენზის დაკმაყოფილება საჭირო აღარ იქნება.**

ინიციატივა „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის. საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა განმარტებით, მოქმედი რეგულაცია ბუნდოვანი და არაეფექტიანია.

# «ქართველი მფრინავი ცოცხალია»

## გენერალი „მეტრონომთან“ დეტალებს ჰყვება

**ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე კონგოში ჩამოვარდნილი ქართველ მფრინავის სოსო ოსორაულის შესახებ „მეტრონომთან“ საუბრობს და ამბობს, რომ ის ცოცხალია და ამბოხებულებმა, რომლებსაც ის ჰყავთ დატყვევებული, ადგილმდებარეობა შეიცვალეს. გენერლის განცხადებით, მას უშუალო კონტაქტი აქვს ქართველ მფრინავებთან, რომლებიც კონგოში იმყოფებიან და ოსორაულის შესახებ ინფორმაციას ფლობენ.**

**მათზე დაყრდნობით სალუქვაძე აცხადებს, რომ ოსორაულის გამოსახსნელად როგორც საქართველო, ასევე გაეროსა და წითელი ჯვრის ორგანიზაციები არიან ჩართულები. გენერლის თქმით, ქართველი მფრინავის გამოხსნა ასეთი მარტივი არ არის, რადგანაც საქმე ტერორისტულ ორგანიზაციასთან გვაქვს, რომელზეც საერთაშორისო ნორმები არ ვრცედება და მათი ნდობა რთულია.**

**არ არსებობს გარანტია, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში, მფრინავის გამოხსნა მოხდება. გენერლის აზრით, ამბოხებულები შესაძლოა, მოთხოვნებსაც ცვლიან და თანხის სანაცვლოდ ოსორაულის რომელიმე ამბოხებულში გაცვლასაც ითხოვენ, რომელიც კონგოს ხელისუფლებას ჰყავს დაკავებული.**

**— „მეტრონომი“: თქვენ რა სახის ინფორმაციას ფლობთ, სად იმყოფება ახლა ქართველი მფრინავი სოსო ოსორაული და არის თუ არა ის ცოცხალი?**

**— ამირან სალუქვაძე:** კონგოში მყოფ ყველა ქართველ მფრინავს ვიცნობ, რა თქმა უნდა, მათ შორის სოსო ოსორაულსაც. ის საკმაოდ დადებითი პიროვნება და თავისი საქმის პროფესიონალია. რაც შეეხება მედიაში გავრცელებულ მის ვიდეომიმართვას, მეც გუშინ პირველად ვნახე. არ ვიცი, რა წყაროებით მოხვდა ის ინტერნეტში.

ფაქტია, რომ ეს ახალი არ არის. როგორც კონგოში მყოფი ჩემი კოლეგები მატყობინებენ, სოსო ოსორაულის ახალი ადგილსამყოფელი შეცვლილია და ის მეამბოხეებმა სხვა ადგილას გადაიყვანეს. თუმცა, როგორც მე მატყობინებენ, ის ცოცხალია და მისი მდგომარეობა კვლავ იგივეა — ტყვეობაში იმყოფება. ის ჯანმრთელად არის და ელოდება, როდის მოხდება მისი გათავისუფლება.

**— ამ ინფორმაციას თქვენ ქართველი მფრინავებისგან იღებთ? ისინი უშუალოდ ვისთან კონტაქტობენ, რა წყაროს მეშვეობით იღებენ მფრინავის შესახებ ინფორმაციას?**

— კონგოში 20-მდე ქართველი მფრინავი იმყოფება, რომლებიც სოსო ოსორაულის მსგავსად მუშაობენ. სწორედ მათი მეშვეობით ვიცი, რომ სოსო ცოცხალია, მხოლოდ მეამბოხეებმა შეიცვალეს ადგილმდებარეობა.

იხ. 8 გვ.

# მთავრობა, რომელიც მთავრობას არ ჰგავს




**დაიკარგა მეგობრობის დღიური:**
**საყვარელი მწერალი – ლაშა ბულაძე.**
**საყვარელი მერი – ზალიკო უდუმაშვილი.**
**საყვარელი მუსიკოსი – სტეფანე.**
**საყვარელი პოლიტიკოსი – გიგი წერეთელი.**
**საყვარელი ტელეკომპანია – „რუსთავი-2“.**
**საყვარელი ცნობადი სახე – მარკუს მეტრეველი.**
**საყვარელი გადაცემა – ნანუკას შოუ.**
**საყვარელი არასამთავრობოელი – ეკა გიგაური.**
**საყვარელი ჟიურის წევრი – ქალი: ია ფარულავა, კაცი: გოჩა ჩერტკოევი.**
**საყვარელი ჟურნალისტი – თენგიზ გოგოტიშვილი.**
**საყვარელი შეწყალების კომისიის თავმჯდომარე – ზვიად ძორიძე.**
**საყვარელი წინასწარმეტყველი – ლელა კაკულია.**
**საყვარელი ომბუდსმენი – უჩა ნანუაშვილი.**
**საყვარელი პოლიტიკური ორგანიზაცია – რესპუბლიკელები.**
**მპოვნელი დასაჩუქრდება!**

სასაცილოა არა? დიხ, ნამდვილად სასაცილოა, მწარედ სატირალი რომ არ იყოს. სატირალი იმიტომ, რომ რეალობაა და ამ რეალობას ვერსად გავექცევით.

ახლა არ მკითხოთ, ხელისუფლება რა შუაშიაო. შუაში კი არა, თავშია ამ ფრაზის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

საქართველოში ამ ბოლო დროს დამკვიდრდა ფრაზა – სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, რომელიც ისეთი პოსტკომუნისტური ქვეყნისთვის, რომელიც ნორმალური, ცივილიზებული დასავლეთისკენ ისწრაფვის, ნამდვილად აუცილებელი საქმეა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა“ სრულიად არასამოქალაქო, ანტისახელმწიფოებრივი და, თამამად შეიძლება ითქვას, აფერისტი ადამიანების ხელში აღმოჩნდა. ადამიანებისა, რომლებიც თავიანთი მენტალიტეტით არამც თუ დასავლური ღირებულებების მატარებლები არიან, არამედ პირიქით. მთელი თავიანთი „მოღვაწეობით“ ცდილობენ, მახინჯი ფორმებით წარმოგვიდგინონ სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ერთობის მთავარი ინსტიტუტის არსი და ქართველ საზოგადოებას თავს მოახვიონ ნორმალური ადამიანისთვის ყოვლად მიუღებელი ფასეულობები.

სწორედ მათი აქტიურობის (და ხელისუფლების მხრიდან პასიური დამოკიდებულების) ბრალია ის, რომ ქვეყანაში ინფორმაციის გავრცელებაზე მონოპოლია, რბილად რომ ვთქვა, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ხელში აღმოჩნდა და მოსახლეობა იმ იდეოლოგიის გავრცელების მსხვერპლია, რაც მათი ავადმყოფური ტვინების ნაყოფია.

ჩვენი ხელისუფლება, იმის ნაცვლად, რომ ჩამოაყალიბოს მკვეთრად განსაზღვრული პრიორიტეტები, ხელი შეუწყოს ნამდვილი და ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას, ამ ე.წ. **„სამოქალაქო საზოგადოების მშენებლებთან“** მიმართებაში, რატომღაც იმ ხვარაზმელი გლეხის პოზიციაშია, რომელსაც მთვრალი მონღოლი მეომარი დაადგა თავს, მისი მოკვლა გადაწყვიტა და უცებ აღმოაჩინა, რომ ხმალი არ ჰქონდა წამოღებული. მან გლეხს უბრძანა, დამელოდეო და ხმლის მოსატანად წავიდა.

ის გლეხი დაელოდა!

არ მესმის, რატომ უნდა იყოს საქართველოს უმაღლესი კანონის – კონსტიტუციის შემმუშავებელ კომისიაში ორი ადამიანის მკვლელობის ბრძანების გამცემი კრიმინალის მიერ, კაპიტნის წოდება მინიჭებული, ვინმე ეკა გიგაური? რატომ უნდა იყოს ჩემი სამშობლოს უმაღლესი კანონის შემმუშავებელ კომისიაში ვინმე ანა ნაცვლიშვილი, რომლის საქმიანობის უმთავრესი მოტივაცია არის არა მოქალაქეებისთვის, სახელმწიფოს განვითარებისთვის ქვეყნის ევროპული სატანდარტების დაფუძნება, არამედ შერჩევითი პრეცედენტები.

**ხელისუფლებავ, მოგვიწოდებ, ნუ იქნები 9 საუკუნის წინანდელი ხვარაზმელი დეჰკანის პოზაში.**

**ნუ გეშინიათ ფრაზისა „რუსული პროპაგანდა“**. დამერწმუნეთ, რომ ეს იარლიყი ჩვენი მოსახლეობისთვის ნამდვილად არ არის მოგონილი. ეს მათ დონორებიდან მეტი ფულის მოსაზიდად სჭირდებათ, რათა ვითომდა გაძლიერებულ „რუსულ პროპაგანდას“ „ებრძოლონ“, არადა „ბრძოლა“ თენგიზ გოგოტიშვილის სიუჟეტებით კი არ უნდა წარმოებდეს, არამედ განათლების დონის ამაღლებითა და ეკონომიკის, ბიზნესის განვითარებით. ეს კი ნამდვილად სახელმწიფოსა და ხელისუფლების პრიორიტეტი უნდა იყოს.

ხალხო, რას გადაეკიდეთ ამ ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციებს“? რატომ შესეცინენებთ თვალებში? მოსახლეობამ კარგად ვიცით, რომ ეგენი თავის ნაჭუჭში არიან ჩაკეტილი და მხოლოდ იმას აკეთებენ, რაშიც დაფინანსებას იღებენ.

რას ეკეკლუცებით ეკა გიგაურს, ანა ნაცვლიშვილს, „ფუჩუს“ და კიდევ ათას მუდრეგს?

ეგენი სულ სხვა სიბრტყეში არიან და სულ სხვა რეალობაში სუფევენ, ჰოდა, შეეშვით საერთოდ, არ მიაქციოთ არანაირი ყურადღება.

ხალხი თხოულობს: ხელისუფლება ამ განყენებულ ხალხს ნუ ჩრის სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

დამერწმუნეთ, როგორც კი ხელისუფლება მათს თვალებში შიშით და მონური მორჩილებით ცქერას თავს დაანებებს, ისინი მაშინვე ყოვლად უინტერესონი გახდებიან ჯერ ჩვენი მედიისთვის და მერე იმ თავიანთი დონორებისთვის (პრინციპში ეს მეორე საერთოდ ცალ ფეხზე მკიდია. პირიქით, აგრემც უქნიათ მთელი მათი ფული საქართველოში წამოუღიათ და აქ დაუხარჯავთ).

აი, რაც შეეხება ამ ე.წ. „სახალხო დამცველს“, აქ კი საზოგადოების მხრიდან ნამდვილად სერიოზული აქტიურობა და მკაფიო პროტესტია საჭირო. მკვეთრი პროტესტი, რათა, ჩვენ მიერ გადახდილი ფული აბსოლუტურად უაზრო მიმართულებით არ იხარჯებოდეს.

ძალიან საინტერესო განმარტება გაკეთა ქალბატონმა ნინო ხელაიამ: **სოციალურ მეცნიერებებში არსებობს მოსაზრება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მსოფლიოს ამ ნაწილში სამოქალაქო საზოგადოების სახელით მოღვაწეთა ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, განსხვავებული ტიპის აქტივიზმი ახასიათებთ – ნაცვლად იმისა, რომ საჭირბოროტო საკითხებზე მასობრივი მხარდაჭერა თუ მობილიზაცია ხალხთან უშუალო კავშირით უზრუნველყონ, უპირატესობას ანიჭებენ პოლიტიკოსებსა და ავტორიტეტებთან (მაგ. ინსტიტუტებთან) კომუნიკაციისა და რესურსების თუ ინფორმაციის მათთან გაცვლას. იგულისხმება, რომ ეს უფრო ეფექტური იქნება დასახული მიზნების მისაღწევად. ამას „ტრანზაქციულ აქტივიზმს“ ეძახიან, რადგან იგი ემყარება ურთიერთგაცვლასა და ტრანზაქციას ორგანიზაციებს შორის (Tarrow & Petrova, 2006). ასეთი ტიპის აქტივიზმი პოსტკომუნისტური საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი; იგი მოქალაქის, როგორც ცალკეული ინდივიდის პოლიტიკურ მონაწილეობას არაპრესტიჟულად, ან არაპროდუქტიულად აღიქვამს, ანუ გარკვეულწილად აუფასურებს პოლიტიკური ძალაუფლების საზოგადოებრივ განზომილებას ადგილობრივ კონტექსტში. სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი არ შველის პოსტსოციალისტური სივრცის მოქალაქის ისედაც აპათიურ განწყობას პოლიტიკის მიმართ.**

ვეთანხმები ქალბატონ ნინოს და ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ პოსტსოციალისტური სივრცის მოქალაქის პოლიტიკის მიმართ აპათიური განწყობა იწვევს იმ „მეგობრობის დღიურის“ არსებობას, რომლითაც ეს წერილი დავიწყე.

ამ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტი კითხვა გაჩინა, რომლებზეც პასუხები არა ე.წ. „არასამთავრობოებმა“, კვესიტაძემ ან გაბუნიამ კი არა, სწორედაც რომ ხელისუფლებამ უნდა გასცეს.

1. მაინცადამაინც ვინმე აზერბაიჯანელი „ჟურნალისტი“ უნდა ჩავარდნილიყო საფრთხეში, რომ ქართველი მფრინავი გაგვხსენებოდა, რომლის შესახებაც ინფორმაცია 27 იანვარს უკვე ცნობილი იყო. მაპატიეთ, მაგრამ ხომ შეიძლება ვიფიქრო, რომ ქართველი მფრინავის „თემა“ აზერბაიჯანელის გადასაფარად შემოვარდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, არ გაამართლა?

2. სად იყო მთელი 5 თვე საგარეო უწყება და „მისი აღმატებულება ელჩი“, რომელიც გაურკვეველია, რატომ იღებს ხელფასს.

3. სანამ ხელისუფლება ე.წ. „არასამთავრობოების მონა“ იქნება და სანამ ხალხს „რუსთავი-2“-ის გარდა, სხვა ალტერნატივა არ უჩანს, მუდამ „თავის მართლების რეჟიმი“ დაემუქრება.

4. მე არ მინდა მკვლელების ორგანიზაციის მონურად მორჩილი ხელისუფლება (აქ, ნაცებთან ერთად, შედიან ე.წ. „სახალხო დამცველი“ და ე.წ. არასამთავრობოები).

დაბოლოს,: თუ ხელისუფლება ამ ანტისახელმწიფოებრივ ბანდებთან კვლავ გააგრძელებს ურთიერთობას, უფლებას ვიტოვებ, საჯაროდ გამოვაცხადო – რესპუბლიკის თავზე ულრუბლო ცაა!

**გია გაბრიჭიძე**

# პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს სტუდენტები გაეცნენ

**სასჯელაღსრულებისა** და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი პროექტის – „საჯარო ლექციები შსს-ს აკადემიის სტუდენტებისთვის“ ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სამართლის სკოლის სტუდენტებს შეხვდა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში განხორციელებული რეფორმები გააცნო. მინისტრმა სტუდენტებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით დაგეგმილ უპრეცედენტო სიახლეებზე, რომელიც პარლამენტმა სამივე მოსმენით უკვე დაამტკიცა. მათ შორისაა: გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შექმნა; უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა მსჯავრდებულთათვის; შინაპატიმრობის შემოღება და სხვა ნოვაციები. ასევე, კახა კახიშვილმა ყურადღება გაამახვილა პენიტენციური სისტემის მართვის თავისებურებებზე, პენიტენციური ჯანდაცვის საკითხებზე, მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით კლასიფიკაციაზე, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და მსჯავრდებულთა დასაქმების პროექტებზე.

**მინისტრის თქმით, პენიტენციური სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით რეფორმა გაგრძელდება. მან სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა და პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტიც შესთავაზა.**

**შსს-ს აკადემიის რექტორის გივი მიქანაძის განცხადებით, მინისტრის ინიციატივა სასჯელაღსრულების სისტემაში სტაჟირების გავლასა და პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს და გაამყარებს სტუდენტთა ცოდნას.**

**შეხვედრის ბოლოს, შსს-ს აკადემიის რექტორმა კახა კახიშვილს აკადემიის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინა.**

# თუ ამ წერილს დაკვირვებით გაეცნობით, „რაღაც“ შეკითხვებზე პასუხსაც იპოვით

**ეს წერილი მე ერთი თვის წინათ გამოვაქვეყნე... ვამბობდი, ერთობ დამაფიქრებელ წერილში სტრიქონებს შორისაც და ცხადლივაც, საყვედურები გამოსჭვივის.**

**თუ დაკვირვებით გაეცნობით შინაარსს, „რაღაც“ შეკითხვებზე პასუხსაც იპოვით.**

„Haqqin.az“ (აზერბაიჯანი), 04 მაისი, 2017 წელი.

https://haqqin.az/news/99120

**ანტიაზერბაიჯანული იატაკქვეშეთი თბილისში: პაროლები, ფული, ინსტრუქციები...**

**სტატიაში, რომელიც შეიძლება ჟურნალისტური გამოკვლევის ჟანრს მივაკუთვნოთ, ვრცლადაა გადმოცემული ანტიაზერბაიჯანული დაჯგუფების საქმიანობა, რომელიც, გამოცემის აზრით, საქართველოში მოქმედებს და პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას ხლართავს (ავტორი — ეინულა ფატულაევი, „Haqqin.az“-ის მთ.რედაქტორი).**

**გთავაზობთ ამონარიდებს ვრცელი პუბლიკაციიდან:**

„მსოფლიო ისტორიაში არის იმის პრეცედენტები, თუ როგორ ტრანსფორმირდებიან ხოლმე პატარა სახელმწიფოები ისეთ სუბიექტებად, რომლებიც გავლენას ახდენენ გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე. მაგალითად, კუბა და კუბელი რევოლუციონერების საქმიანობა, რომლებიც ლათინური ამერიკისა და აფრიკის ბევრ ქვეყანაში რევოლუციებს გეგმავდნენ“, — წერს ავტორი და ერთ-ერთ ასეთ „ერნესტო ჩე გევარად“ მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევს, რომელიც, კუბელი წითელი კომანდანტეს მსგავსად, საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც ცდილობდა რევოლუციების განხორციელებას. **„საქართველო დსთ-ის სივრცეში ფერადი რევოლუციების ლოკომოტივად, დასავლური ჰეგემონიზმის და მოდერნიზების პლაცდარმად იქცა, რომლის მიზანს რუსეთის ირგვლივ ფერადი სარტყლის ჩამოყალიბება წარმოადგენდა. მაგრამ რუსეთთან ერთად, საფრთხე უშუალოდ აზერბაიჯანსაც დაემუქრა; მიხეილ სააკაშვილი და მისი „კმარელი“ თანამოაზრენი, აზერბაიჯანშიც ცდილობდნენ დესტაბილიზების გამოწვევას, მაგრამ ილჰ ამ ალიევის პოლიტიკური ოსტატობის წყალობით ქართული რევოლუციური ხელისუფლების გეგმები ჩაიფუშა, განეიტრალდა. საბოლოოდ, თვით ქართველმა საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ აზერბაიჯანის გარეშე საქართველო ვერ იარსებებდა, ანუ ბაქოსთან დაპირისპირება თბილისურ კომინტერნს კარგს არაფერს უქადდა. იმ შემთხვევაში, თუ აზერბაიჯანის მიმართ საქართველო ხრიკებს გააგრძელებდა, თბილისი ხელს შეუწყობდა რეგიონული გეოეკონომიკური პროექტების კრახს, კავკასიური პოლიტიკის პატრიარქების — ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის მიერ შემუშავებულს. გარდა ამისა, საქართველოს „ვარდისფერი“ ხელისუფლება აცნობიერებდა ქვემო ქართლში პრობლემის წარმოქმნის შესაძლებლობასაც, სადაც 300 ათასამდე აზერბაიჯანელი ცხოვრობს და რომლებიც, ჯავახეთის სომხებისაგან განსხვავებით, ერთიანი და განუყოფელი საქართველოს იდეის ერთგული იყვნენ.**

**პრეზიდენტები მოდიან და მიდიან, იატაკქვეშეთი კი რჩება.**

**მართალია, იმ პერიოდში საქართველოს „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქარაგმულად აჩვენებდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობასთან ფასეულობრივ კონფრონტაციაში იყო, ბაქოსთან ღია კონფლიქტზე წასვლა ვერ გაბედა, თუმცა საქართველოს ტერიტორია აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ექსპანსიის პლაცდარმად გადააქცია. სამწუხაროდ, თბილისის პოლიტიკა არ შეცვლილა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგაც: „მეოცნებეთა“ მმართველობის დროს აზერბაიჯანული ფერადი იატაკქვეშეთი თბილისში თავს მშვენივრად გრძნობს.**

**გავიხსენოთ, რომ 2013 წელს, აზერბაიჯანში არჩევნების წინ, რადიკალური ოპოზიციის ცენტრმა სწორედ თბილისში გადაინაცვლა. ანტისამთავრობო კოალიციამ ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის რუსტამ იბრაჰიმბეკოვის ხელმძღვანელობით (ელდარ ნამაზოვთან და ალი ქერიმლთან ერთად) ანტიაზერბაიჯანული გეგმების განხორციელება სწორედ საქართველოს დედაქალაქში დაიწყო: ჩამოყალიბდა ნაციონალური საბჭო, რომელმაც აზერბაიჯანში ფერადი რევოლუციის მოხდენის საოცნებო მიზანი გამოაცხადა.**

**მოგვიანებით საქართველოს ახლადგამომცხვარი ხელისუფლება ბრალის გამოსწორებას შეეცადა — აშკარად ჩანდა თბილისის ჩარევა მოძმე მეზობლის საქმეებში და ურთიერთობაში წარმოქმნილი კოლიზია „გარდამავალი პერიოდის“ სირთულეებით ახსნა: რა გვექნა, დროულად ვერ მოვასწარით ქართული ისტებლიშმენტის გაწმენდა „სოროსელი ბაცილებისგანო“. ეს ოთხი წლის წინათ იყო, იმ დროს აზერბაიჯანის ხელისუფლება გაგებით და თანაგრძნობით მოეკიდა მეზობლის „გარდამავალი პერიოდის სირთულეებს“, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას არც შემდეგ არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიიდან ანტიაზერბაიჯანული „წინააღმდეგობის მოძრაობის“ გასაძევებლად. დღეს თბილისი კვლავ რჩება აზერბაიჯანული ოპოზიციის ცენტრად, სადაც მზაკვრული გეგმები მზადდება, იხლართება ახალი შეთქმულება, თავისი პაროლებით, ინსტრუქტაჟით და ფულით.**

**განა საქართველოს ხელისუფლებისათვის და სამართალდამცველი ორგანოებისათვის უცნობია აზერბაიჯანელი ოპოზიციონერების საქმიანობა? ან მათი შეხვედრები დასავლელ ემისრებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც დასავლელი სპეცსამსახურების კონტროლქვეშ იმყოფებიან?“** — წერს ავტორი და აქვეყნებს ანტიაზერბაიჯანული შეთქმულების წევრების გვარ-სახელებს, ფოტოსურათებს.

პუბლიკაციაში ჩამოთვლილია 30-მდე აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი, მოცემულია მათი დახასიათება, კავშირები, კონტაქტები, გადაადგილების მარშრუტები, მათ შორის არიან პოლიტიკოსები, ყოფილი პროკურორები, ჟურნალისტები... „თბილისში აზერბაიჯანული კონტრა მომრავლდა. მადლობა ალაჰს, რომ აზერბაიჯანმა, საქართველოსაგან განსხვავებით, მოახერხა და თავიდან აიცილა სისხლიანი დაპირისპირება. უიღბლო რევოლუციონერები ქვეყნიდან გაიქცნენ და თავშესაფარი საქართველოში პოვეს, კერძოდ კი თბილისში — კონტრასტების, კონტრასა და რევოლუციონერების ქალაქში“.

„აი, ასეთი სურათია ჩამოყალიბებული იმ სახელმწიფოში, რომელიც თავს აზერბაიჯანის ძმად და მეგობრად მიიჩნევს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები მხოლოდ მიზერული რაოდენობაა იმისა, რასაც თბილისში აზერბაიჯანული ოპოზიციის იატაკქვეშეთი აკეთებს.

საინტერესოა, რა პასუხს გაგვცემს საქართველოს მთავრობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო? განა აზერბაიჯანის მთავრობას ოდესმე მიუცია თავშესაფარი ქართული ოპოზიციისათვის ბაქოში? რატომ იქცევა საქართველოს ხელისუფლება ასე აზერბაიჯანის მიმართ? ამასწინათ, 19 აპრილს, ქართველმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში არ შეუშვეს აზერბაიჯანის მიერ ძებნილად გამოცხადებული ჯამალა ალი, რომელიც ოპოზიციური „მაიდან ტვ-ს ბერლინის განყოფილების თანამშრომელია. რასაკვირველია, ეს ნაბიჯი ოფიციალურმა ბაქომ დადებითად შეაფასა, მაგრამ მაინც გვინდა ვკითხოთ მეზობლებს: რატომ არ დააკავეთ და არ გადმოეცით აზერბაიჯანის ხელისუფლებას? ქართულ მხარეს რომ ანალოგიური თხოვნით მოემართა ჩვენთვის, განა ბაქო ასე მოიქცეოდა?

რატომ შეუქმნა საქართველოს ხელისუფლებამ ანტიაზერბაიჯანულ ოპოზიციას სასათბურე პირობები თბილისში? ხომ ცნობილია, რომ ისინი თავიანთ ზრახვებს არ მალავენ, მათ აზერბაიჯანის ხელისუფლების დამხობა სურთ. მაშ, რატომ არ ღებულობს ზომებს ჩვენი მეზობელი? არადა, აზერბაიჯანი დიდ მსხვერპლს სწირავს საქართველოსთვის... არაფერს ვამბობთ ენერგეტიკულ მეგაპროექტებზე... ქართველებს გავახსენებთ, რომ აზერბაიჯანი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ბაქომ მკაცრად დაგმო სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმი და მზადაა ორმხრივი კავშირების გასაღრმავებლად, გამოწვევების მიმართ ერთობლივი წინააღმდეგობის გასაწევად. და რას ვიღებთ ყოველივე ამის სანაცვლოდ? ზურგში დანის დარტყმას? განა აზერბაიჯანმა ზურგში დარტყმა დაიმსახურა? საინტერესოა, რამდენი დრო დასჭირდება საქართველოს მთავრობას მისსავე ტერიტორიაზე თავაშვებულად მოქმედი აზერბაიჯანული იატაკქვეშეთის აღსაკვეთად?“

* * *

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ აზერბაიჯანულმა გამოცემამ ოთხ მაისს ონლაინ-რეჟიმში გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ პუბლიკაცია ცნობად მიიღო და მასალაში ნახსენებ ფაქტებს შეისწავლის. გუშინვე „Haqqin.az“-მა გამოაქვეყნა ქართველი ექსპერტების კომენტარი. როგორც ვასილ პაპავა ამბობს, აზერბაიჯანელი ოპოზიციონერების შესახებ ქართული ოფიციალური მედია არაფერს აცხადებს.

„საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთობა მხოლოდ აზერბაიჯანის ოფიციალურ ხელისუფლებასთან აქვს და, ბუნებრივია, ეს თანამშრომლობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ არის დასმული. გამოდის, რომ ყველაფერი ჩუმად კეთდება. ძალიან ცუდია, რომ ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა. ჩემი აზრით, აზერბაიჯანელი „ოპოზიციონერები“, თავიანთი რევულუციური პროექტებით, საქართველოდან გაძევებული უნდა იქნენ. საერთოდ კი, უმჯობესი იქნება, რომ აზერბაიჯანმა ამ მიზნით ოფიციალურად მომართოს საქართველოს. ის, რაც სტატიაშია გადმოცემული, თუ ყველაფერი მართალია, მაშინ სრულ „ბარდაკს“ ნიშნავს“, — ამბობს ვასილ პაპავა და ხაზს უსვამს, რომ აზერბაიჯანელებს, ალბათ, დასავლური ძალებიც მფარველობენ, ამიტომ თბილისს ბერკეტები არ ჰყოფნის მათ გასაძევებლად. „საქართველოს ისედაც უამრავი პრობლემა აქვს, დამატებით „აზერბაიჯანული ხუნტა“ არ გვჭირდება“.

სტატიის შესახებ თვალსაზრისი გამოხატა აგრეთვე ყოფილმა პარლამენტარმა გია ცაგარეიშვილმაც: მისი თქმით, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არასოდეს არ გადაუდგამს და არც გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართული იქნება აზერბაიჯანში პოლიტიკური დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. „ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არავის არ სურს, რომ აზერბაიჯანს პრობლემები ჰქონდეს. ჩვენი ქვეყნები მსგავს მდგომარეობაში არიან, რომელიც ტერიტორიულ მთლიანობასთანაა დაკავშირებული. აზერბაიჯანი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საზღვრების ურღვევობას და სუვერენიტეტს. თბილისი მაღალ შეფასებას აძლევს ბაქოს პოზიციას. რაც არ უნდა იფიქრონ ჩვენმა საერთო მტრებმა, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეგობრობა გაგრძელდება“, — განაცხადა გია ცაგარეიშვილმა „Haqqin.az“-ის თბილისის ბიუროს თანამშრომელთან საუბრის დროს (წყარო: https://haqqin.az/news/99180).



**ნუგზარ ფოფხაძე**

# ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას

**საფრანგეთში, ქ. პარიზში გამართული ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვირეულის დროს, მინისტერიალის საბჭოს შეხვედრების ფარგლებში, 67 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივ კონვენციას.**

**საქართველოს მთავრობის სახელით მრავალმხრივ კონვენციას ხელი მოაწერა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა ხუციშვილმა. მრავალმხრივი კონვენცია შემუშავდა 2013 წელს „დიდი ოცეულის“ მიერ ინიცირებული დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის შესახებ (OECD) პროექტის ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზანია, საერთაშორისო საგადასახადო სფეროში არსებული აგრესიული საგადასახადო დაგეგმარების აღმოფხვრა.**

**მრავალმხრივი ინსტრუმენტი ითვალისწინებს OECD-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმების, საუკეთესო პრაქტიკის და მინიმალური სტანდარტების დანერგვას არსებულ საგადასახადო შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის მეშვეობით.**

# ყაზახეთში მუშაობას იწყებს საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „ექსპო-2017“

EXPO 2017
Future Energy
Astana Kazakhstan

**ივნისის** მიწურულს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ოფიციალურ ვიზიტად ყაზახეთის რესპუბლიკას ესტუმრება. ყაზახეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, ვიზიტი „დამატებით წვლილს შეიტანს ჩვენს პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ, საინვესტიციო, ასევე ჰუმანიტარულ-კულტურულ ურთიერთობებში“.

ელჩისგან რწმუნებათა სიგელის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ბატონმა ნურსულთან ნაზარბაევმა, კერძოდ, აღნიშნა:

„თბილისთან ურთიერთობები ჩვენთვის ყოველმხრივ საგულისხმოა, იგი კავკასიაში ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი პარტნიორია. ამას თბილისის გეოგრაფიული ადგილმდებარეობაც განაპირობებს, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა გზაჯვარედინზე დგას. ყაზახეთში საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ვიზიტის წინა დღეებში ვიმედოვნებთ, რომ ამ სტუმრობისას ორმხრივი ფართომასშტაბიანი ურთიერთობების საკითხების განხილვას შევძლებთ“.

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში სპეციალიზებული გამოფენის „ექსპო-2017“-ის დროს გაიმართება, რომელზეც, საქართველოში ყაზახეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ერმუჰამეტ ერთისბაევის თქმით, იგი საგანგებოდაა მიწვეული.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაზე, რომლის დევიზია „მომავლის ენერგია“, საქართველო ცალკე პავილიონით იქნება წარმოდგენილი. ყაზახეთის დედაქალაქში გამოფენა სამ თვეს — 2017 წლის 10 ივნისიდან 10 სექტემბრამდე გასტანს.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის თამარ ჯანაშიას თქმით, ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში დიდი გამოცდილებაა დაგროვილი როგორც ენერგიის წყაროთა მოძიების, ასევე მათი ეფექტიანად გამოყენების მხრივაც.

საქართველოს პავილიონის კონცეფცია ენერგეტიკული ტურბინა იქნება, რომლის პროექტი ესტონური კომპანიის მიერაა შედგენილი, რაც ყაზახეთის მხარესთან სრულადაა შეთანხმებული. იმედი გვაქვს, რომ ამ ინოვაციით მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე საქართველო ღირსეულ ადგილს დაიკავებს. გამოფენაზე ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის წარმოდგენას ველოდებით, რაც საქართველო როგორც სატრანზიტო, ასევე ენერგიის განახლებადი წყაროების ბაზად წარმოჩნდება.

ცოტა ხნის წინათ თბილისში სახელწოდებით „ასტანა ექსპო-2017“: იმოგზაურე აბრეშუმის დიდი გზით“ როუდშოუ გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩოს, ორივე ქვეყნის ტურისტულ კომპანიებსა და ყაზახეთის ავიაკომპანიის „ეირ-ყაზახეთის“ წარმომადგენლებმა. მიზანი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ხელშეწყობა გახლდათ. საგანგებოდ ქართული კოლეგებისთვის ტურისტული პროექტის „ექსპო-2017“-ის პორტფოლიოს წარდგინებაც შედგა, რომელშიც მონაწილეობას ასი ქვეყანა და ათი საერთაშორისო ორგანიზაცია მიიღებს. ტურისტებს არა მარტო გამოფენებს, არამედ ყაზახეთის დედაქალაქისა და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილთა მონახულებას შესთავაზებენ. ღონისძიებების მომწყობებმა სადღეისოდ მილიონ ბილეთზე მეტი გაყიდეს, რომელთა შემძენელთა შორის 44 სახელმწიფოს, მათ შორის, ცხადია, საქართველოს წარმომადგენლებიც არიან.

მომავალი გამოფენა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს გააშუქებს, რომელიც ამჟამად მსოფლიო თანამეგობრობას აინტერესებს — ესაა ენერგიის ალტერნატიული წყაროები. თავად „ექსპო-2017“ არსს ძალიან კარგად გადმოსცემს მისი ლოგოტიპი, რომელიც ენერგიისა და მუდმივი მოძრაობის სიმბოლურად გამომსახველ წრეზე ასიმეტრიულად განთავსებულ ფოთლებს წარმოადგენს. გამოფენის მონაწილე ქვეყნები ენერგიის განახლებადი წყაროების სფეროში მიღწევებს წარადგენენ და სამომავლო პერსპექტივებს წარმოსახავენ, ასევე თვანათელს გახდიან მათ ისეთ უპირატესობებს, როგორებიცაა ეკოლოგიური სისუფთავე, ექსპლუატაციის დაბალი ღირებულება და გარემოსთვის უვნებლობა.

გამოფენის ფარგლებში ასევე გაიმართება ფორუმი „მომავლის ენერგია“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პოლიტიკოსები, მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები, ინვესტორები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-საზოგადოებების წარმომადგენლები. ღონისძიება 29 ივნისს გაიხსნება და მთელი საგამოფენო პერიოდის მანძილზე 12 თემატური სერიით წარიმართება, რომლებიც გლობალურ ენერგეტიკულ გამოწვევებსა და პრობლემებს მიეძღვნება.

ყაზახეთის „ექსპო-2017“ ნიშანდობლივი მოვლენა იქნება ცენტრალური აზიისა და დსთ-ს ქვეყნებში. ამ მასშტაბის ღონისძიება იქ მანამდე არასდროს გამართულა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამჟამად აღორძინების სტადიაში მყოფმა დიდმა აბრეშუმის გზამ ახალი თვისება შესძინა საქართველოსა და ყაზახეთის თანამშრომლობას. ჩვენი ორი ქვეყანა ხომ ამ უდიდესი სატრანსპორტო-საკომუნიკაციო პროექტის საკვანძო მონაწილეები არიან, რომლის ინიციატორი ჩინეთი გახდა.

ცნობილია, რომ პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელიც 2013 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სი ძინპინმა წამოაყენა, მიზნად ისახავს ცენტრალური და სამხრეთ აზიის, ასევე აფრიკისა და ევროპის მთელი რიგი ქვეყნის სავაჭრო მარშრუტების გრძელვადიან დაგეგმვას, რაც, თავის მხრივ, აგრეთვე ახალი ნავსადგურებისა და სარკინიგზო ხაზების მშენებლობასაც გულისხმობს. საქართველო კი ამ პროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვეყნად მოიაზრება. უკვე ძალაშია შესული საქართველოსა და ჩინეთის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შეახებ, პრაქტიკულ ფაზაში შედის შავ ზღვაზე ანაკლიაში ღრმალწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა.

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერისა და ფინანსთა მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, საქართველო უწინაც იყო და დღესდღეობითაც არის დიდი აბრეშუმის გზის განუყოფელი ნაწილი. ჩინეთიდან ევროპაში უმოკლესი გზა სწორედ საქართველოზე გადის. საქართველოს მთავრობისთვის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის, ცხადია, ყაზახეთთანაც.

28-29 ნოემბერს თბილისში „აბრეშუმის გზის“ ფორუმი ჩატარდება. ცნობა ამის თაობაზე განსაკუთრებით ნიშანდობლივია იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფორუმი რიგით მეორე იქნება — ანალოგიური საქართველოს დედაქალაქში უკვე ჩატარდა 2015 წელს, როცა თბილისს 30 ქვეყნიდან ათასზე მეტი სტუმარი ეწვია. ამდენად, გამოკვეთილია სიმბოლური ხასიათის მქონე გარკვეული მემკვიდრეობითობა. საქართველო ამ უძველესი ისტორიული ფესვების მქონე უმნიშვნელოვანესი თანამედროვე პროექტის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სატრანზიტო მონაწილე ხდება.

პარტნიორებთან, კერძოდ, ყაზახეთთან ერთობლივად, განიხილება ეფექტიანი სატარიფო პოლიტიკის, ხარჯის ოპტიმიზაციისა და ინტეგრირებული მომსახურების, გადაზიდვის პროცესის ერთიანი ტექნოლოგიის შექმნის, ნავსადგურებსა და მომიჯნავე სადგურებში ტვირთებისა და კონტეინერების სასაზღვრო და საბაჟო პროცედურების ადმინისტრაციული ბარიერების შემცირების ხელშეწყობის საკითხები.

ამიტომ, სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ისინი ტრანსკავკასიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში განიხილება. ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სარკინიგზო ასოციაციებმა ხელი მოაწერეს ერთობლივი ასოციაციის შექმნის თაობაზე დამფუძნებელ ხელშეკრულებას და მისი წესდებაც მიიღეს, განაცხადეს ეროვნული კომპანიის „ყაზახეთის რკინიგზების“ პრესსამსახურში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ასოციაციის ოფისი ასტანაში იქნება განთავსებული. ასოციაციის მოღვაწეობა მიმართული იქნება სატრანზიტო და საგარეო სავაჭრო ტვირთების მოსაზიდად, ტრანსკასპიურ საერთაშორისო მარშრუტზე ინტეგრირებული ლოგისტიკური პროდუქტების განვითარებაზე. ასევე აღინიშნება, რომ მოცემული ზომები მიმართული იქნება ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე.

ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი ჩინეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების გავლით თურქეთსა და უკრაინაში, შემდეგ კი ევროპაში მიდის. როგორც კომპანია „ყაზახეთის რკინიგზებში“ აცხადებენ, მონაწილეებმა უკვე დაამტკიცეს ფასწარმოების ერთიანი პოლიტიკა და გამჭოლი სატარიფო განაკვეთების დონე. ტრანსკასპიური მარშრუტის პროექტის განვითარებაში მონაწილეობის მიღების სურვილი ასევე გამოთქვეს თურქეთის მხარის წარმომადგენლებმაც.

უპრიანი იქნება ნურსულთან ნაზარბაევის სიტყვების გახსენება, რომელიც საქართველოსთან პარტნიორული ურთიერთობების ორივე მხარისთვის სარგებლიანობის შესახებ ლაპარაკობდა და აღნიშნა, **„თბილისი ზედ სავაჭრო-ეკონომიკურ გზაზე მდებარეობს“**. თავისუფლად შეიძლება იმის მტკიცება, რომ ასტანაში გამართული „ექსპო-2017“ გამოფენა დიდად შეუწყობს ხელს მის აქტივიზაციასა და განვითარებას. **ეს ხომ მსოფლიოში უდიდესი გამოფენა იქნება, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის დიდი შესაძლებლობების მიმცემი უზარმაზარი ბაზარიცაა. მისი თემა ენერგოდაზოგვის მსოფლიოში საუკეთესო, ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების უკვე არსებულ და ახალ ტექნოლოგიებს მოიზიდავს. ასევე გამოფენა მძლავრ იმპულსს მისცემს სისტემურ დივერსიფიკაციას, სამეწარმეო სიმძლავრეების ტექნოლოგიურ მოდერნიზაციასა და მონაწილე ქვეყნების სამეცნიერო ბაზების განვითარებას.**

**კოტე სირბილაძე**

## თბილისში „ჩინეთი-საქართველო, მეგობრობის დღე“ აღინიშნება

**საქართველო-ჩინეთის** დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისში „ჩინეთი-საქართველო, მეგობრობის დღე“ აღინიშნება. დღესასწაული რიყის პარკში 9 ივნისს, 11:00-დან 22:00 საათამდე გაიმართება.

„ჩინეთი-საქართველო, მეგობრობის დღე“ იმართება საერთაშორისო მედია-ჰოლდინგის საქართველოს წარმომადგენლობის, GBTIMES Georgia-ს ორგანიზებით, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით.




ოფიციალურ ნაწილს გახსნიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ძი იანჩი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. ღონისძიებას ასევე დაესწრებიან თბილისის მერი დავით ნარმანია, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

მთელი დღის განმავლობაში გაიმართება: ჩინური კომპანიების პროდუქციის გამოფენა, ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების მასტერკლასები, ეროვნული სამოსის ჩვენება, ჩინური სამზარეულოს დეგუსტაცია, გასართობი ღონისძიებები, გამოფენები და კონცერტები.

პირველად საქართველოში, დღესასწაული სტუმრები იხილავენ გრანდიოზული დრაკონების შთამბეჭდავ შოუს და ჩინური ლომების ტრადიციულ ცეკვას.

ღონისძიებაში ჩინეთიდან მოწვეული ხელოვანების ჯგუფი მონაწილეობს, რომელიც აუდიტორიის წინაშე სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი პერფორმანით წარსდგება.

ღონისძიებას გრანდიოზული კონცერტი და ფეიერვერკი დაასრულებს.

# ქართველი ვაგნერი

**წელში მოხრილი, საშუალო სიმაღლის, მაღალაქოჩრილი თმით, გახუნებული ტანსაცმლით, ქუსლმოცვეთილი, მოღრეცილი ფეხსაცმელებით, მორიდებული სიარულით, ჩუმი ნაბიჯით, შურისა და ინტრიგანობისაგან დათრგუნვილი, სიღარიბის გამო ათასნაირი ფიქრით დაღლილი და მოთენთილი, ხშირად შიმშილისაგან მისუსტებული და ნირწამხდარი, სახის კუნთების ნერვული მოძრაობით, ასეთი იყო ყოველდღე, სახლში, ქუჩაში, საზოგადოებაში. მაგრამ როგორც კი ნათხოვარ ტანსაცმელში კარგად გამოწყობილი სცენაზე შედგებოდა, კამერტონს ან სახელმძღვანელო ჯოხს მოიმარჯვებდა, უცებ წელში გასწორდებოდა, თვალები უბრწყინავდა და საზეიმო განწყობილება ეუფლებოდა და გაისმოდა გასაოცარი ქართული მელოდია თავისი შთაგონებითა და სიდიადით. აი, სრული პორტრეტი ჩვენი უნიჭიერესი კომპოზიტორისა და ღირსეული მამულიშვილის ნიკო სულხანიშვილისა.**

მისი საგუნდო ნაწარმოებები გვატკბობენ უბრალოებით, განცდათა სიმდიდრით და ინდივიდუალურობით. ქართული ფოლკლორიდან ამოზრდილ ქმნილებებს მან განუმეორებელი სასიმღერო ხიბლი შესძინა და ჭეშმარიტად უმაღლეს ხარისხში აიყვანა ყველა ის ფასეულობა, რითაც ასე ძვირფასია ჩვენი ეროვნული ხალხური შემოქმედება და საგუნდო ხელოვნება.

ნიკოს მშობლებს – პაატა სულხანიშვილს და ნინო მაჭავარიანს 14 შვილი ჰყავდათ. აქედან მხოლოდ ოთხი შემორჩათ, მათ შორის ნიკო, რომელიც 1871 წელს მოევლინა ამქვეყანას ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში. სულხანიშვილების ოჯახი ოდითგანვე განთქმული ყოფილა ქართული სიმღერის ცოდნითა და სიყვარულით. გადმოცემის თანახმად, მათ „მრავალჟამიერის“ და „სუფრულის“ ორმოცამდე ვარიანტი სცოდნიათ, რომლებიც გარკვეული მიზნობრივი თუ რიტუალური მომენტების დროს სრულდებოდა. ნიკოს მამას ლამაზი ტემბრის ტენორი ჰქონია, შესანიშნავად მღეროდა კახურ ხალხურ სიმღერებს. საინტერესო მუსიკალურობით გამოირჩეოდა დედამისიც.

შვიდი წლის იყო ნიკო, როდესაც თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. იქ გალობას ასწავლიდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები – დიმიტრი ელიოზაშვილი და ზაქარია ჩხიკვაძე. სწორედ აქ მომწიფდა ის შინაგანი თვისებები, მისი შემოქმედების წყაროდ რომ გადაიქცნენ ჭაბუკობის ჟამს.

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1884 წელს ნიკო სულხანიშვილი თბილისის გზას გაუყენეს და სემინარიაში მიაბარეს. მუსიკით გატაცებამ და იმ ენთუზიაზმმა, რაც მასში ლადო აღნიაშვილის ახლად ჩამოყალიბებულმა გუნდმა მოახდინა, მთლად აუცრუა გული მეცადინეობაზე. მშობლებმა დასაჯეს და თელავში დაბრუნეს, მაგრამ მალე ისინიც დარწმუნდნენ, რომ საჭირო იყო ნიკოს მუსიკალურ განათლებაზე ზრუნვა. ამ პერიოდში სრულიად გამოაშკარავდა მისი შინაგანი ინტერესი და მისწრაფება. იგი თავისი მუსიკალური ფანტაზიის ტყვე შეიქმნა.

ნიკო კვლავ თბილისში დარუნდა. ამასობაში ჭაბუკობის ასაკმაც უწია, ხმა დაეწმინდა და ხავერდოვანი ბარიტონი გამოიკვეთა, რომლის ფართო დიაპაზონი ტენორის მაღალ რეგისტრამდე ადიოდა. იმხანად მას თბილისში დახვდა ვოკალის ცნობილი პედაგოგი, მოსკოვის საიმპერატორო თეატრის ყოფილი მომღერალი დიმიტრი უსატოვი. მას მოეწონა სულხანიშვილის ხმა და მოსწავლედ აიყვანა. სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს ნიკო და შალიაპინი. მათ შორის თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. უსატოვი დიდად აფასებდა სულხანიშვილის ხმას და მუსიკალურობას. ამბობენ, რომ იგი ნიკოსგან უფრო მეტს მოელოდა, ვიდრე შალიაპინისგან. მაგრამ, სამწუხაროდ, უსატოვთან მეცადინეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ნიკო თელავში დაბრუნდა და სასულიერო სასწავლებელში საეკლესიო გუნდის ხელმძღვანელობა ჩაიბარა.

ათიოდე წელი გაგრძელდა მისი საქმიანობა თელავის სასულიერო სასწავლებელში. იგი იწყებს ფიქრს მუსიკალური მიმდინარეობის ახალ ფორმებზე. ქმნის პირველ ნაწარმოებს „ტურფავ მოდი, ნუ ხარ მტრულად“. ბუნებით მოუსვენარი და მაძიებელი ნიკო სულხანიშვილი იწყებს ოპერა „პატარა კახის“ წერას აკაკი წერეთლის ტექსტზე. ნელ-ნელა იქმნება ოპერის ფრაგმენტები. როდესაც 1899 წელს აკაკიმ მოისმინა ოპერის მონაკვეთი – „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან...“ სიამოვნებისგან გაბადრულმა და ცრემლმორეულმა ნიკო გადაკოცნა და აღფრთოვანებულმა უთხრა: „ჭეშმარიტად ჯადოსანი შემოქმედი ყოფილხართ! აგრე როგორ ჩასწვდით ხალხურ ჰანგთა საიდუმლოებას!.. თქვენ ჩვენი ხალხის გულიდან ამოძახილი ბგერა დაგიცავთ და ეს არის ჩვენი ეროვნული ოპერის თავისთავადობის საუნჯე. ამიერიდან პატარა კახი თქვენ გეკუთვნით...“

1900 წელს ნიკო ტოვებს თელავს და თბილისის სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებლად იწყებს მუშაობას, სადაც სასტიკად იყო აკრძალული ეროვნული (საერო) სიმღერები. ამ ნიადაგზე მას ხშირად ჰქონდა უსიამოვნება სემინარიის ხელმძღვანელობასთან.

ხელოვნების არცერთი მიმდინარეობა არ მოითხოვს ხელოვანისაგან სისტემატურ მეცადინეობას ისე, როგორც მუსიკა. სულხანიშვილს არ ჰქონდა გავლილი მუსიკალური განათლების სისტემატური სკოლა, რასაც მტკივნეულად განიცდიდა კომპოზიტორი. იგი სწავლას იწყებს თბილისის მუსიკალური სასწავლებლის თეორიულ განყოფილებაზე, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. გაიცნო და დაუახლოვდა მოსკოვის კონსერვატორიადამთავრებულ გიორგი ნატრაძეს, რომლის მეშვეობით, გარდა მეგობრული ურთიერთობისა, პროფესიული მუსიკისთვის საჭირო თვისებებს სწავლობდა. ნიკო პერიოდულად სასარგებლო რჩევა-დარიგებას იღებდა ცნობილი მუსიკოს და კომპოზიტორ მიხაილ იპოლიტოვ-ივანოვისგან.

მთელი 12 წელი გაგრძელდა სასულიერო სემინარიაში მისი საქმიანობა, რაც მაშინდელი რეჟიმის პირობებში დიდ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული.

1904 წელს ნიკო დაოჯახდა. უკვე შვილების პატრონს დიდი საზრუნავი გაუჩნდა. საარსებოდ ლუკმაპურის შოვნას დიდი დრო,

ენერგია და ხალისი მიჰქონდა. მისი მთელი ცხოვრება გაბმული ტკივილი და ბრძოლა იყო გაჭირვებაში მყოფი ადამიანისა. მაგრამ ეს ტკივილი არასოდეს არ აქრობდა მასში შემოქმედებით ცეცხლს. მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა განსაკუთრებული დამოკიდებულება და ერთგულება სასიმღერო ხელოვნებისადმიც მისი სრულყოფისადმი.

ნიკო სულხანიშვილის პირველი გამოჩენა თბილისის სცენაზე და მაღალი დონის ხელოვანის სახელის მოხვეჭა ერთსა და იმავე დღეს მოხდა. 1913 წელს ქართველი საზოგადოება ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავს აღნიშნავდა. ნიკოს საგანგებოდ შეუკრებია გუნდი და ამ საღამოზე თავისი ახლად შექმნილი ნაწარმოებები – „მესტვირული“ და „სამშობლო ხევსურისა“ შეუსრულებია. საინტერესოა, ასეთი ფაქტი: იუბილეზე ჩამოსულ ვაჟა-ფშაველას წინასწარ მოუსმენია ეს ნაწარმოებები. მას აკაკის ლექსის „მესტვირულის“ ნაცვლად ნიკოსთვის უფრო შესატყვისი სიტყვები შეუთავაზებია, რომელიც ვაჟას სახელდახელოდ შეუთხზავს. აღნიშნულ საღამოზე სულხანიშვილს უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ჟურნალი „კლდე“ წერდა: „ყველა სიტყვას, სიმღერას და დაკვრას სჯობდა ორიგინალური ხორო სულხანიშვილისა...“ „სახალხო გაზეთი“: „აღსანიშნავია ბატონ სულხანიშვილის „სამშობლო ხევსურისა“ დაწერილი ნამდვილი ხევსურული კილოთი, რომელიც დამსწრეთა მოთხოვნით რამდენჯერმე იქნა გამეორებული“.

იმავე წელს ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულდა ნიკო სულხანიშვილის ახალი ნაწარმოები, საგუნდო მუსიკის შედევრი – „გუთნური“, ხოლო ქართულ თეატრში გამართულ ალექსანდრე აბაშელის საღამოზე – „მაშ, გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლევ“. მას არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ საკეთილდღეო საქმე უყურადღებოდ არ დარჩენია, გულმხურვალედ ეხმაურებოდა ყოველივე ახალსა და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს. მან სხვადასხვა პერიოდში ილიაობისთვის საგანგებოდ დაამუშავა ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ელეგია“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „მესმის, მესმის“ და სხვა.

1911 წელს თელავში გამართული ილიაობის ღონისძიებისათვის ნიკომ შექმნა კანტატა – „მოკლეს ილია, ქართველის შვილია“, ხოლო 1913 წლის 5 მაისს მთაწმინდაზე, ილიას ძეგლის „მწუხარე საქართველოს“ გახსნაზე, გუნდმა შეასრულა ნიკოს „კახური ჰიმნი“, რამაც აკაკის მაღალი შეფასება და მადლობა დაიმსახურა.

ნიკო სწრაფად, ზოგჯერ ექსპრომტადაც კი ქმნიდა საგუნდო ნაწარმოებებს. ასე შეიქმნა აკაკის „ოდელა, დელა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მირბის, მიმაფრენს“, ილიას – „ერთ ბედქვეშა ვართ“, სიკო ფაშალიშვილის – „დიდება ივერსა“, რუსთაველის ავთანდილის ლოცვის ტექსტის მიხედვით – „ღმერთო, ღმერთო“ და უამრავი სხვა.

სულხანიშვილს უხვად ჰქონდა მომადლებული ხალხური კილო-სიმღერების ათვისებისა და გადმოცემის უნარი. „გუთნურის“ მოსმენის შემდეგ იპოლიტოვ-ივანოვმა მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: „...საქართველოს ვაგნერი ხარ! ეს ნამდვილი ქართული სიმფონიაა, მაგრამ როგორც ვაგნერს სიცოცხლეში არ აფასებდნენ, შენც ასევე არ დაგაფასებენ. მხოლოდ შენი გარდაცვალების შემდეგ მიხვდებიან, თუ რა უდიდესი კომპოზიტორი დაკარგა საქართველომ შენი სახით, მაგრამ უკვე გვიანი იქნება...“

ნიკო სულხანიშვილის „გუთნურში“ თავისებურად აისახა ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი შრომის სიყვარული. ამ თვალსაზრისით იგი უახლოვდება ისეთი ტიპის სიმღერებს, როგორიცაა მაგალითად, სიმღერა თოხნის დროს, როცა კომპოზიტორის მიერ საგუნდო ხმოვანების უფაქიზეს შეგრძნებასთან გვაქვს საქმე. ეს არის გლეხური შრომის მუსიკალური სურათი, მოხდენილი დეკლამაციით შემკული. მისი საგუნდო კომპოზიციები სრულიად ახალი რამ იყო იმდროინდელი საზოგადოებისათვის. ამ ნაწარმოებებმა ადამიანებს აგრძნობინა ქართული ჰანგის უდიდესი სულიერება და მშვენიერება. ლადო აღნიაშვილი პირველი იყო, ვინც ქართული სიმღერა ესტრადაზე გამოიტანა. მაგრამ სულხანიშვილი პირველი კომპოზიტორი იყო, ვინც გამოიმუშავა დამოუკიდებელი მუსიკალური სტილი ქართულ ხალხური სასიმღერო მასალაში. მისი შემოქმედება ქართველ ხელოვანთა სხვადასხვა თაობისათვის მუდამ დარჩება არამარტო როგორც საგუნდო ხელოვნების სკოლა, არამედ როგორც ზოგადად კომპოზიტორის ხალხურთან დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითი.

სულხანიშვილი ოპერა „პატარა კახის“ წერას დიდხანს მოუნდა. ამაზე საყვედურობდნენ. თუ დავწერ, ისეთი უნდა იყოს, ჩვენი ხალხური მუსიკის მარგალიტები შეისრუტოს, აკაკის სახელის შესაფერი და ჩვენი მომავალი საოპერო რეპერტუარის დამამშვენებელიც იყოსო, – ამბობდა კომპოზიტორი.

მისი შემოქმედება შეეხო ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც, მან არაერთი საეკლესიო წირვათა საგალობელი დაწერა, რომლებიც, სამწუხაროდ, დაიკარგა. ნიკო აქტიურად გამოეხმაურა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II მკვლელობის ამბავს, სასწრაფოდ შექმნა საგალობელი – „სულთა თანა, აღსრულებულსა მართალთანა“, რომელიც სიონის ეკლესიაში პატრიარქის ანდერძის აგების დროს შესრულდა.

საზღვარგარეთ ქართული სიმღერის გატანისა და პოპულარიზაციის საშუალება ნიკოს სულ რაღაც ორჯერ მიეცა, ეს მოხდა 1912 წელს ვარშავაში და 1913 წელს ვლადიკავკაზში.

კომპოზიტორი, გარდა იმისა, რომ თვითონ იყო ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებელი და უნიჭიერესი ლოტბარი, კარგად ფლობდა ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩაწერის ტექნიკას. როგორც მისი წერილებიდან ირკვევა: კახეთში, ქიზიყში და თიანეთში მას უამრავი ხალხური სიმღერა ჩაუწერია, ზოგიერთი შრომის პროცესში კი, სამწუხაროდ, ეს უნიკალური ფონოგრამები ქართული თეატრის შენობის ხანძარმა შთანთქა.

1918 წელს სულხანიშვილი ქართული სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გაძლიერებული გუნდის ლოტბარად დანიშნეს, რომელთან ერთადაც საღამო-კონცერტებში ხშირად გამოდიოდნენ ჩვენი სასიქადულო მომღერლები: ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი. 1919 წელს ნიკო თბილისის სამუსიკო საზოგადოების მიერ დაარსებული გუნდის ხელმძღვანელად მიიწვიეს. ილია აბაშიძე გვიამბობს: „ჩვენ ბევრი გვსმენოდა ნიკოს ლოტბარობაზე, მაგრამ ის, რაც ვნახეთ, აუწერელი და ენით გამოუთქმელია. კაცი იფიქრებდა, რომ ნიკოს გავლილი ჰქონდა საგუნდო ლოტბარობის უდიდესი კლასიკური სკოლა, ნანახი და მოსმენილი ჰყავდა მსოფლიოს სახელის მქონე კაპელმაისტერები და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ვისმენდით ამოზრდილსა და მომწიფებულ ნიჭს, რომელსაც ასეთი გაფაქიზებული ესთეტიკური გემოვნება თანდაყოლილი ჰქონდა და არა შეძენილი. არავის შეეძლო ასეთი ფრაზების შექმნა, ასეთი ფაქიზი ნიუანსების გადმოცემა“. დიმიტრი არაყიშვილის დახასიათებით: „..სულხანიშვილი თავისთავადი კომპოზიტორია, თვით ხალხის, გლეხის უტყუარი სახის გამომხატველი“.

იმ ხანებში ახალმა ქართულმა კლუბმა ჰიმნების კონკურსი გამოაცხადა. ჟიურის შემადგენლობაში უცხოელებიც მონაწილეობდნენ. კონკურსი დახურული წესით ჩატარდა. ჟიურიმ 14 ნაწარმოებიდან ორი მოიწონა. ეს ორივე ნიკო სულხანიშვილისა აღმოჩნდა, რისთვისაც ამიერიდან მას ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქართული შური და ღვარძლი აედევნა, არადა, იმ მხრივ, საიდანაც თანაგრძნობა და ხელის შეწყობა უნდა ყოფილიყო.

მას არასოდეს ჰქონდა ნორმალური პირობები თავისი შემოქმედების გასაშლელად. მისი გამორჩეული ნიჭიერება ჩახშული იყო საარსებო საშუალებების ძიებაში ნივთიერ ხელმოკლეობაში. ამას ემატებოდა საკუთარი თავისადმი დაუდევარი დამოკიდებულება. ამან ყველაფერმა განაპირობა ამქვეყნიდან მისი ნაადრევად წასვლა. ნიკო, იგივე შინაურულად კიკუშა სულხანიშვილი 1919 წლის 3 დეკემბერს გარდაიცვალა 48 წლის ასაკში, თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოს საკუჭნაოში. სამწუხაროდ, ამას ის დაერთო, რომ სიკვდილის მეორე დღეს კომპოზიტორის მთელი ნაწერები და შემოქმედება ვიღაც გარეწარმა მოიპარა. დაიკარგა ოპერა „პატარა კახის“, საბავშვო ოპერა „ორი ძალის“ კლავირები და უამრავი საგუნდო თუ ვოკალური ნაწარმოებების ნოტები.

მისმა სიკვდილმა მთელი შეგნებული საქართველო და ხელოვნების ყველა წარმომადგენელი შეაწუხა, სინდისის ქენჯნამ იმძლავრა: დაკრძალვაზე თელავიდან ჩამოსულ ოჯახს სადგურზე ავტომობილი და სათანადო შესამოსი დაახვედრეს, კომპოზიტორი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. გასაბჭოების შემდეგ მის ოჯახს, მეუღლეს და ოთხ შვილს პერსონალური პენსია დაუნიშნეს, საქართველოს კაპელასა და თელავის სამუსიკო სასწავლებელს მისი სახელი მიანიჭეს, მაგრამ ქართულმა ხალხურმა სამუსიკო შემოქმედებამ და საოპერო ხელოვნებამ ეს უდიდესი დანაკლისი ვეღარ აინაზღაურა. სამწუხაროდ დანაკლისი აუნაზღაურებელი იყო...



**გელა ქოქიაშვილი**
**რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი**

ნიკოლაი სტარიკოვი

# ცილდაწამებული გენერალისიმუსი

## ვიხსენებთ ერთად

**ბრძოლამ** სტალინგრადთან აჩვენა, რომ ჯარების მართვის დონე უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის მხრიდანე ახალ დონეზე გავიდა. სანამ გერმანელები შუბლით უტევდნენ ქალაქის ნანგრევებს, სადაც ოდესღაც სტალინი აკავებდა თეთრებს, ის თავად აგროვებდა რეზერვებს. 1942 წლის 19 ნოემბერს საბჭოთა ჯარები სტალინგრადის მისადგომების რაიონში გადავიდნენ შეტევაზე. დარტყმები განხორციელდა ფლანგებზე, შემდეგ გერმანელების ჯარების ზურგში. ხაფანგი დაიხურა. ალყაში ჰიტლერის საუკეთესო მე-6 არმია, აგრეთვე რუმინეთისა და იტალიის ნაწილები აღმოჩნდნენ. გერმანელები უწევდნენ წინააღმდეგობას, მაგრამ დამარცხება გარდაუვალი იყო. ტყვედ მტრის დაახლოებით 100 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი აღმოჩნდა, ვერმახტის სახელგანთქმულმა გერმანულმა მანქანამ დაიწყო ავადმყოფობა და ორივე ფეხით კოჭლობა. დამარცხება ნებისმიერ არმიაში იწყება არა მისი ჯარისკაცების „ეროვნებიდან“, არამედ მისი მოწინააღმდეგის სიძლიერისა და მოულოდნელი დარტყმიდან, თანაც სერიოზული პრობლემები ვერმახტს დაეწყო ჯერ კიდევ სტალინგრადთან განადგურებამდე. ტყვედ ჩავარდნილი გერმანელების ფოტოგრაფიებს იცნობს თითქმის ყველა: ამ ფოტოებზე გერმანელ ჯარისკაცებს ეცვათ, ვის რა შეეძლო. ზამთრის თბილი ტანსაცმელი მათ არ აცვიათ. ჩნდება სეზონული შეკითხვა: კეთილი, 1941 წელს ჰიტლერს არ შეუქმნია ზამთრის ტანსაცმლის მარაგი, შეჰყავდა სტალინი დაბნეულობაში და იმედი ჰქონდა, რომ გაართმევდა თავს საბრძოლო მოქმედებებს სიცივეების დადგომამდე. არ გამოვიდა. რატომ არ მოუტანეს თბილი ტანსაცმელი გერმანელ ჯარისკაცებს 1942-1943 წლის ზამთრისთვის? დაავიწყდათ? ამ დროს ტანსაცმელი ფრონტის ხაზთან გერმანელებს მაინც მოჰქონდათ. მაგრამ როგორი?! ამის შესახებ ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ გერმანელი მწერლის ხ. შრეტერის წიგნში, რომელიც დაიწერა ჰიტლერის თხოვნით ჯერ კიდევ ომის დროს, მაგრამ არ დაბეჭდილა მესამე რაიხში მასზე დამთრგუნველი შთაბეჭდილებების გამო. ჯარისკაცებისთვის რომ ჩაეცმიათ, გერმანიის სარდლობა ფრონტის ხაზისკენ აგზავნიდა მეტად უცნაური ტანსაცმლის მთებს. როგორც შრეტერი წერს, „რომლებსაც ბევრი სიხარულის მოტანა შეეძლოთ ბოშათა მთელი ბანაკისათვის“.

ცისფერი, წითელი და მწვანე შალი ზოლებად და უჯრედებად. ღიაყვითელი პულოვერი გრძელი სახელოებით, წინდები ნახატებით ყველა ზომისა, შალის ჟილეტები მოქსოვილი გვირგვინის მსგავსი ნახატებით. ქალის პალტოები (?), ხელთათმანები. ჩუსტები, საოჯახო ფეხსაცმელები აქლემის ბეწვით. სათბურები ყავადანებისთვის...

თითქმის მთელი ეს ტანსაცმელი გაანადგურეს გერმანელებმა უკან დახევის დროს, ან ჩვენი ჯარისკაცების ხელში მოხვდა... სტალინგრადთან ალყაში მოქცეულ ნაწილებს მომარაგებას აწვდიან თვითმფრინავები. ყოველდღე ტვირთი მოდის უფრო ნაკლები, ვიდრე საჭიროა. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ვაზნები, ამუნაცია, საკვები და საწვავი. ჯარებში უკვე იწყება შიმშილი, არის ბენზინისა და იარაღის მწვავე დეფიციტი. და აი აეროდრომებზე სტალინგრადის მახლობლად სხდებიან გერმანული თვითმფრინავები, რომლებმაც გამოაღწიეს ყინვაში, რუსული საზენიტო თვითმფრინავებისა და გამანადგურებლების გვერდის ავლით. რა ტვირთი ჩამოიტანეს ქვაბში? ხუთი ტონა ყინულკარამელი! პრეზერვატივებით სავსე რამდენიმე დუბინი ყუთი. მოფრინავს მომდევნო ორი თვითმფრინავი. ისინი დატვირთულია მაკარონით და წიწაკით. ოთხი ტონა სახამებელი ჯდება შემდეგი პილოტი. რა ტვირთია? პროპაგანდისტური ლიტერატურა და პლაკატები. ცელოფანის დამცველი პაკეტები ხელყუმბარებისთვის. თავად ხელყუმბარები არაა. სამაგიეროდ არის ფეხსაცმლის შნურები. და კვლავ... წიწაკა!

იბრძოლეთ ჩეპჩებით, აქლემის ბეწვის სახლის ფეხსაცმლებით. საჭმელად კი გამოიყენეთ ყინულკარამელი და წიწაკა. გილზების ნაცვლად — ყუთი პრეზერვატივებით. ეგეც შენი ნაქებარი გერმანული მკაფიოობა...

ბრძოლა სტალინგრადისთვის

გერმანელების განადგურება სტალინგრადთან ჯერ კიდევ არ ყოფილა ომის დამთავრება. დღეს თითქმის დაივიწყეს, რომ სტალინი შეეცადა, სინამდვილეში გადაეწყვიტა მთელი ომის დასასრული. მიზანი, რასაც ისახავდა საბჭოთა სარდლობა, ბევრად სჭარბობდა გერმანიის ერთი მე-6 არმიის ალყაში მოქცევას. გერმანელი ისტორიკოსი, რომელსაც ვერაფრით ვერ დასწამებ რუსეთისადმი სიმპათიას, ასე აღწერს სტალინის გეგმას:

**„სამი საბჭოთა ფრონტის ოპერაციები, რომლებიც შეუჩერებლად უტევდნენ ვოლგისა და დონის შუამდინარეთს უკვე 1942 წლის 19 ნოემბრიდან და რომლებმაც ალყა შემოარტყეს სტალინგრადს და გათიშეს იტალია-რუმინეთის ფრონტი ასობით კილომეტრზე, მიზნად ისახავდნენ უფრო მეტს, ვიდრე სტალინგრადის გათავისუფლებას და პაულიუსის არმიის ალყას. ამ მოქმედებების უკან იდგა გრანდიოზული, სულის შემხუთავი გეგმა საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობისა... სტალინი აპირებდა მესერი გაევლო, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანული არმიების მთელი სამხრეთი ფლანგისათვის აღმოსავლეთში. სუპერსტალინგრადი მილიონობით გერმანელი ჯარისკაცებისთვის — აი რა იყო მისი მიზანი. რვა არმიის გიგანტური ოპერაციის, როსტოვსა და დნეპრის ქვედა დინებაზე ყალმუხის ველებისა და შუა დონის მხრიდან დარტყმების საშუალებით მას სურდა, მოეკვეთა და შემდეგ გაენადგურებინა გერმანიის სამხედრო ფრონტი — სამი ჯგუფი მთლიანად შვიდ არმიად“.**

1942 წელს ეს არ გამოვიდა. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ვებრძოდით მსოფლიოს მეორე უძლიერეს არმიას, რომელსაც სათავეში ედგა ასევე ბრწყინვალე მხედართმთავრები. არმია ჯერ ისევ ძალიან ძლიერი იყო. ფელდმარშალმა მანშტეინმა მოაგროვა ნაწილ-ნაწილ ძალები და შეძლო, შეეჩერებინა გენერალ როტმისტროვის მე-3 გვარდიული სატანკო კორპუსის სოლი. სულ რაღაც ოცდაათი კილომეტრი არ ეყო მაშინ ჩვენ არმიას. სულ რაღაც ოცდაათი კილომეტრი, რომ შეესულიყო როსტოვში და გზა გადაეჭრა გერმანიის მილიონიანი დაჯგუფებისთვის კავკასიაში. „ერთ საბჭოთა სატანკო პოლკს ერთი მიზანმიმართული ადამიანის მეთაურობით შეეძლო, გადაეწყვიტა ამ ადგილზე მთელი ომის ბედი“, — წერს გერმანელი ისტორიკოსი. არ გამოვიდა... ჩვენი შეტევა შეაჩერეს. შემდეგ კი, რაც „სუპერსტალინგრადი“ ვერ განხორციელდა, პაულიუსის არმიის განადგურება გახდა წარმოსადგენი, როგორც საბჭოთა კონტრშეტევის მთავარი მიზანი. ომში საბოლოო გარდატეხა კი დაიწყო მხოლოდ 1943 წელს, როდესაც კურსკის რკალზე გერმანელების შეტევის ჩავარდნის შემდეგ ჩვენმა ჯარებმა ერთხელ და სამუდამოდ ჩაიგდეს ხელში სტრატეგიული ინიციატივა. მაგრამ სტალინმა გამოიყენა მომენტი და საერთო მორალური ამაღლება არმიაში იმისთვის, რომ დაბრუნებულიყვნენ სათავეებიდან. რუსულ არმიასთან რევოლუციური არმიიდან. სტალინგრადთან ომის შემდეგ ძალიან მალე სტალინმა რუსი მებრძოლების მხრებს დაუბრუნა... ოქროს სამხრეულები (ე.წ. „პაგონები“). და შეცვალა ფორმა, დაუბრუნა იგი ძველი რუსული ტანსაცმლის ფორმას. რომ გავიგოთ, თუ რას ნიშნავდა ეს, უნდა გავიხსენოთ, რომ სამოქალაქო ომში ოფიცრებს ხვრეტდნენ ჩემოდნებში აღმოჩენილი სამხრეულებისთვის. იყო შემთხვევები, როდესაც სამხრეულებს ლურსმნებით აჭედებდნენ მხრებზე. თეთრგვარდიელებს კი საერთოდ ოქროსამხრეულიანებს უწოდებდნენ. აქ კი ოქროს სამხრეული აბრჭყვიალდა წითელი არმიის ჯარისკაცების მხრებზე. ვინ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება? პირადად უმაღლესმა მთავარსარდალმა. თანაც მან არა მხოლოდ ხელი მოაწერა ან მხარი დაუჭირა იდეას. არა, სამხრეულების რუსი ჯარისკაცების მხრებზე დაბრუნების ავტორია — პირადად იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

**„სამხრეულები შემოიღეს ი.ბ. სტალინის წინადადებით. როდესაც ღებულობდნენ გადაწყვეტილებას სამხრეულების შემოღების შესახებ, მან სთხოვა ზურგის უფროსს გენერალ ა.ვ. ხრულიოვს, ეჩვენებინა ძველი რუსული არმიის სამხრეულები. როდესაც მათ ათვალიერებდა, მახსოვს, მომმართა:**

**— ამხანაგო ვასილევსკი, მიჩვენეთ, როგორ სამხრეულებს ატარებდით ძველ დროს.**

**სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო, რომ სუვოროვის, კუტუზოვის, ალექსანდრ ნეველის, ნახიმოვის ორდენები დაწესდა ასევე უმაღლესი მთავარსარდლის წინადადებით. ომის წლებში მის კაბინეტში ეკიდა სახელგანთქმული რუსი მხედართმთავრების სუვოროვისა და კუტუზოვის პორტრეტები“ (ა. ვასილევსკი, მთელი ცხოვრების საქმე).**

კვლავ შემოიღეს სამხრეულები, მაგრამ ეს ყველაფერი როდია. კიდევ რა განარჩევდა ერთმანეთისგან წითლებსა და თეთრებს? კომისრების არსებობა. და აი 1942 წლის ოქტომბერში სტალინგრადის გააფთრებული ბრძოლების დროს წითელ არმიაში უქმდება კომისრების ინსტიტუტი. ვინ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება? სტალინმა. რევოლუციური ქვეყნის ბელადი, უფროსი არმიისა, რომელიც ატარებდა სახელს „წითელი“, გადაჭრით აბრუნებდა იმ ყოველივე რუსულს, რაც დაიკარგა რევოლუციის დროს ჩვენს არმიაში. ძველი ფორმისა და სამხრეულების დაბრუნების შესახებ გვიამბობს მარშალი გოლოვანოვიც. ეს დავალება მოგვეცა ისეთი სამხედრო ფორმის ნიმუშები, რომლებიც იქნებოდნენ ლამაზი, გამოიწვევდნენ პატივისცემას და ამავე დროს იქნებოდნენ მარტივი, მოხერხებული სატარებლად და არ გამოიწვევდნენ „წაგებას“ მათი ჩაცმის დროს — სტალინისგან ანდრეი ვასილის ძე ხრულიოვმა მიიღო.

**„როდესაც მზად იყო სხვადასხვა ნიმუში, ისინი მიიტანეს კრემლში, და გარკვეული დროის განმავლობაში სტალინის კაბინეტი გადაიქცა მოდელიერების მითითებით შეკერილი ჩაცმულობის ნიმუშების საგამოფენო დარბაზად. რა არ ყოფილა აქ — მეთვრამეტე საუკუნის დროის ეპოლეტები 6 მუნდირებამდე. სტალინი ყურადღებით ათვალიერებდა წარმოდგენილ ნიმუშებს და აქნევდა თავს — ხან გაოცებას, ხან გაცბუნების გამო. ბოლოს მან იკითხა:**

**— არ არის აქ რუსული არმიის ფორმა, რომელსაც უბრალო რუსი ოფიცრები ატარებდნენ?**

**აღმოჩნდა, რომ ასეთი ფორმა არის, თუმცა სადღაც კუთხეში, იმიტომ არ ჩანდა. როდესაც ეს ფორმა წარმოადგინეს, აღმოჩნდა, რომ ის იყო ერთობ უბრალო: კიტელი სამხრეულებით და ჩაშვებული შარვალი, ყოველდღიური. როდესაც სტალინმა სთხოვა, ეთქვათ, რამდენი წლისაა ეს ფორმა, რა ცვლილებები განიცადა მან, აღმოჩნდა, რომ ეს ფორმა სრულყოფილი ხდებოდა მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში. როგორც მაგალითი, აუხსნეს, რომ კიტელზე ადრე იყო ექვსი ღილი, ახლა — ხუთია, რათა უფრო მალე ჩაიცვა და ღილებიც მალე შეიკრა, და ასეთი კიტელი საბოლოოდ შემოიღეს არმიაში.**

**— რამდენი ხნის განმავლობაში ხდებოდა საერთოდ ფორმის სრულყოფა რუსულ არმიაში? — შეეკითხა სტალინი ზურგის მუშაკებს.**

**— ფორმა რუსულ არმიაში სრულყოფილი ხდებოდა მისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, — იყო პასუხი.**

**— დანარჩენი ფორმა, რაც აქ არის წარმოდგენილი?**

**— ყველაფერი, რაც აქ არის წარმოდგენილი, — ახალია, ახლახან შექმნილი.**

**—რისთვის შემოვიღოთ ჯერ კიდევ გამოუცდელი ფორმა, როდესაც აქ არის უკვე შემოწმებული? — თქვა სტალინმა.**

**ასეც გადაწყვიტეს. ასე შემოიღეს ფორმა, რომელიც ადრე უკვე არსებობდა, და მან მთლიანად გაამართლა მთელი ომის განმავლობაში. მხოლოდ სამხრეულების წინააღმდეგ გამოვიდა გ.კ. ჟუკოვი, გიმნასტურის წინააღმდეგ — ს.მ. ბუდიონი“ (ა.გოლოვანოვი).**

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112

# გაყიდული არმია

**როგორ გაყიდეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საბრძოლო არსენალები გენერლებმა. საჰაერო დაცვის მე-19 არმიის დაზვერვის ყოფილი უფროსის (1989-1993 წ.წ.), გადამდგარი პოლკოვნიკის ვალერი სიმონოვის დღიურიდან...**

**1990 წლის** იანვრის მდგომარეობით, ამიერკავკასია მოსახლეობითა (16 მილიონი კაცი) და ფართობით (186 ათასი კვადრატული კილომეტრი) ერთ-ერთი ყველაზე მილიტარიზებული რეგიონი იყო არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოში. 700 კილომეტრი სიგანის და 300 კილომეტრი სიღრმის ზოლში იყო ინფრასტრუქტურა და სამყოფი მარაგი ორი არმიისთვის — ამიერკავკასიის სამხედრო და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქებისთვის. ორი ოლქის ძალებისა და საშუალებების გარდა, ამავე ტერიტორიაზე განლაგებული იყო ცენტრს (მოსკოვს) დაქვემდებარებული ორი არმია — საჰაერო თავდაცვის მე-19 ცალკე არმია და 34-ე საჰაერო არმია, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სადაზვერვო ნაწილები და ობიექტები, ნავსადგურებში დაბანაკებული იყვნენ კასპიის ფლოტილია და შავი ზღვის ფლოტის გემების ბრიგადა.

**რუსეთის მხედრიონს ამიერკავკასიაში ჰყავდა 250 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე, 1500 ტანკი, 2500 საბრძოლო ჯავშნოსანი მანქანა, 1000 ქვემეხი, ნაღმტყორცნი და ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემა, 250 საბრძოლო და სატრანსპორტო შვეულმფრენი. ორი არმიის (მე-19-სა და 34-ეს) გამანადგურებელი და ბომბდამშენი ავიაცია რაოდენობითა და ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა მოსაზღვრე თურქეთისას და ირანისას. საწყობებში ინახებოდა არსებული დაჯგუფებებისათვის საჭიროზე ორჯერ მეტი და მთელი თვე ავტონომიურ საბრძოლო მოქმედებათა წარმოებისთვის სამყოფი მარაგი.**

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ზურგში იმყოფებოდა არანაკლებ მძლავრი ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქი, რომელსაც შეეძლო, სამხრეთელ მეზობელს დახმარებოდა. მათ მხოლოდ კავკასიის ქედი ჰყოფდა. ვალერი სიმონოვი გაკვირვებას გამოთქვამს, დროულად რატომ არ ჩააქრეს მღელვარება ჩეჩნეთშიო. მცირე ტერიტორიის მქონე ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა, თავისი 1,3-მილიონიანი მოსახლეობით ხომ პირდაპირ ჩაჭედილი იყო ორი მძლავრი სამხედრო ოლქის მარწუხებში. ჩეჩნეთში არსებობდა საკმაოდ ძლიერი სტრუქტურა, რომელსაც ძალუძდა, ჩაექრო ნებისმიერი შეიარაღებული გამოსვლა. რუსეთს არ გაკილავდნენ, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად ავიაციას და მძიმე ტექნიკას იყენებდაო.

წარმოუდგენელი რამ დაემართა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებასაც: სამი წლის მანძილზე (1990 წლის იანვრიდან 1993 წლის იანვრამდე) მისი სიმძლავრე 10-ჯერ შემცირდა (პირადი შემადგენლობა 250 ათასიდან — 25 ათასამდე). 1993 წლის 1 იანვრიდან მისი ჯარების საცოდავი ნარჩენები უბრალოდ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფად იწოდებოდა ცალკეული ბანდების თავდასხმათა შედეგად მიყენებული ჯამობრივი დანაკარგები შეიძლება შეგვედარებინა მხოლოდ დიდი სამამულო ომის ოპერაციებში მიღებულ დანაკარგებს.

ერთი თვალნათლივი მაგალითი.

1992 წლის 13 ივნისს, შაბათს, ოთხის ნახევარზე გორში დისლოცირებულ რუსეთის სატანკო პოლკში, 200-მდე შეიარაღებული ქართველი გვარდიელი შეიჭრა. მათ უმალ გადაკეტეს შენობის შესასვლელები. მხოლოდ სამმა ოფიცერმა მოახერხა ფანჯრიდან გადახტომა, სამი ტანკის ამუშავება და თავდამსხმელებისთვის შეტევა. ოფიციალური მონაცემებით ქართველთა მხარეს დაიღუპა 12 გვარდიელი, დაიჭრა 20, ტყვედ ჩავარდა 28. დანარჩენებმა, უწესრიგოდ დაიხიეს უკან. ჩვენი მხრიდან დაიღუპა 2 ოფიცერი და 8 წლის გოგონა, 6 დაიჭრა.

ბრძოლის დასრულების შემდეგ საოცარი რამ მოხდა. პოლკში ყოველგვარი დაცვის გარეშე შემოვარდა მსუბუქი მანქანა, რომელშიც ისხდნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი სუფიან ბეპაევი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე კავკაძე(?). გენერალი ბეპაევი უშვერი სიტყვებით სახალხოდ იგინებოდა დანაკარგის გამო. ოღონდ დამსწრეთაგან ვერავინ მიხვდა, რომელი მხარის დანაკარგს გულისხმობდა. ბეპაევი ყვიროდა,: „ნაძირლებო! ნაბიჭვრებო! რა გააკეთეთ!..“

შემდეგ გენერალმა ბრძანა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ ტყვეები, თუმცა საჭირო იყო სისხლიანი ინციდენტის გამოძიება. პირიქით, პოლკში დაიწყეს იმ სამხედრო მოსამსახურეთა გამოვლენა, ვინც იარაღი აიღო ხელში და ისროდა. რამდენიმე დღის მანძილზე პოლკი დაშალეს და მთელი მისი შეიარაღება ქართულ მხარეს გადაეცა. ისმის კითხვა, რისთვის დაიღუპა ორი ოფიცერი და პატარა გოგონა?

მთელი ეს ამბავი, ჩემი აზრით, აშკარად დადგმული იყო. აბა როგორ უნდა ავხსნათ, რომ თავდასხმამდე ერთი დღით ადრე ყველა ოფიცერსა და ჯარისკაცს ებრძანა, ჩაებარებინათ პირადი იარაღი; თავდასხმის დღეს პოლკის მეთაური და შტაბის უფროსი თითქოს წავიდნენ (იქნებ ნამდვილადაც) თათბირზე ა/კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. პოლკის ოფიცრებს უქმე დღე გამოუცხადეს. ქვედანაყოფებში სამხედრო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობა დარჩა.

იმ ბრძოლიდან მალე ქართულ გენერალურ შტაბში მომიხდა ყოფნა. ეს ქართველ-აფხაზთა ომის პირველი დღე იყო (1992 წ. 14 აგვისტო). მიბრძანეს, მოვლაპარაკებოდი ქართველ სამხედრო ხელმძღვანელებს, რათა გამორიცხულიყო საბრძოლო მოქმედება საჰაერო თავდაცვის ნაწილებში. მე იქ გაკვირვებით მეკითხებოდნენ, რატომ მოხდა გორში წინააღმდეგობა, აკი წინასწარ იყო მოლაპარაკება პოლკის ტანკების გადაცემაზე სამომავლოდ აფხაზეთში გამოსაყენებლადო.

იმ ბრძოლაში დაიღუპა თავდამსხმელთა მეთაური ბესიკ ქუთათელაძე, იგი ეროვნულ გმირად გამოცხადდა და თბილისში სახელმწიფო პატივით დაკრძალეს. დაღუპული რუსი სამხედროები კი ხის ყუთებით გაგზავნეს სამშობლოში.

**აი კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: 1993 წ. 27 აპრილს ვესწრებოდი ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ჯარების სამხედრო საბჭოს თათბირს. პირადად გავიგონე, მთავარსართალმა ვიქტორ ბრუდნიკოვმა როგორ განაცხადა, ამ რესპუბლიკაში საჰაერო თავდაცვის მე-19 ცალკე არმია ყველა თავისი თვითმფრინავითა და საზენიტო რაკეტებით პირწმინდად არის გაძარცვული და რუსეთში გადასატანიც არაფერიაო. მთავარი შტაბიდან პასუხისმგებელი ამ არმიის რუსეთში გადაყვანაზე გენერალ-ლეიტენანტი ვიქტორ სანიცინიაო“.**

არმიის დანაკარგს მთელი გამანადგურებლებით, საზენიტო რაკეტებით, ხელი არ შეუშლია სინიცინისთვის, მიელო გენერალ-პოლკოვნიკის წოდება და გამხდარიყო მთელი რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსი (1998-2000 წ.წ.).

1993 წ. დამითხოვეს შეიარაღებული ძალებიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის — დანით მიყენებული ჭრილობის გამო, რაც ოლქის შტაბის ბოევიკებისაგან დაცვის დროს მივიღე.

**ვალერი სიმონოვი,**
**„სოვერშენნო სეკრეტნო“,**
**2016 წ. მაისი**

# «ქართველი მფრინავი ცოცხალია»

**(მეორე გვერდიდან)**

**— რა გახდა მეამბოხეების ადგილმდებარეობის შეცვლის მიზეზი და თუ არის ცნობილი, ოსორაული კვლავ იმ დაჯგუფებასთან ერთად იმყოფება?**

— მათი გადაადგილების მიზეზი უცნობია. ერთი ვერსიის მიხედვით, შეტაკებები მოხდა მეამბოხეებსა და ხელისუფლებას შორის, შესაძლოა, მათი გადაადგილების მიზეზი ესეც იყოს, თუმცა დაზუსტებით არაფრის თქმა არ შეიძლება. როცა ადამიანი ჰყავთ ტყვეობაში, მოსალოდნელია, რომ მისი ადგილმდებარეობის დადგენის თავიდან აცილების მიზნით, მას შეუცვალონ ადგილი. იქ მყოფ ჩვენი თადარიგის ოფიცრებს კონტაქტი აქვთ კონგოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ხოლო ეს ადამიანები იმ დაჯგუფებასთან კონტაქტობენ და ოსორაულის შესახებ ინფორმაციას იღებენ.

**— საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, სოსო ოსორაული შეტაკებების დროს დაღუპულიყო. რაზე, ან ვისზე დაყრდნობით გაავრცელეს ეს ინფორმაცია?**

— საგარეო საქმეთა სამინისტრო და აფრიკაში ჩვენი საელჩო დაეყრდნო იქ არსებულ ინფორმაციას, რომელიც ხელისუფლებასა და დაჯგუფებას შორის შეტაკების შემდეგ გავრცელდა. იყო ინფორმაცია, რომ ამ დაპირისპირების შედეგად მსხვერპლი დიდი იყო და, ალბათ, მათ რაიმე სავარაუდო ინფორმაცია მიაწოდეს. ფაქტია, რომ ეს ინფორმაცია, საბედნიეროდ, არ დადასტურდა.

**— არის გარანტია, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება მფრინავის გათავისუფლების სანაცვლოდ თანხას გადაიხდის, მას გამოვიხსნით? ან რა არის ამბოხებულების**

**მოთხოვნა, ხომ არ შეცვალეს პირობები და ვინ არის უშალოდ ამ მოლაპარაკებებში ჩართული?**

— მის ტყვედ ჩავარდნის პირველივე დღეებში, ჩვენს თანამემამულეებთან კონტაქტი მქონდა და მათი თხოვნა იყო, რომ ინფორმაციის გახმოვანება არ მომხდარიყო, რადგანაც მას საფრთხე დაემუქრებოდა. მის გასათავისუფლებლად ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობდა. მოლაპარაკებები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა, ეს იყო როგორც თანხის მოთხოვნა, ასევე გაცვლა ამბოხებულ კონგოელში.

გამოსასყიდის გადახდა კონგოს ხელისუფლებას არ აწყობს, რადგან ამ თანხით ტერორისტები იარაღს ყიდულობენ. ამ სახსრებს ისევ ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებენ. შესაბამისად, ძალიან რთული სიტუაციაა.

დიპლომატიასაც ამ კუთხით ძალიან უჭირს, რადგანაც საქართველოს უშუალოდ კონგოში საელჩო არ აქვს და მხოლოდ ერთი საკონსულო აფრიკის რამდენიმე ქვეყანას მოიცავს. ჩვენ არ შეგვიძლია, აფრიკის 200-ვე სახელმწიფოში ვიყოთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას კონგოს ხელისუფლებასთან ურთიერთობა არ აქვს, მაგრამ სოსოს გათავისუფლება მათზე ხომ არ არის დამოკიდებული.

საუბარი ტერორისტულ ორგანიზაციასთან, რომელიც თავისი კანონებით ხელმძღვანელობს და არა საერთაშორისო ნორმებით, წარმოუდგენლად რთულია. რამდენადაც ინფორმაცია მაქვს, მის გასათავისუფლებლად როგორც გაერო, ასევე წითელი ჯვრის ორგანიზაცია მუშაობს. ნებისმიერი სახელმწიფოს პოზიცია წარმოიდგინეთ, ამბოხებულებს, რომელთა კონტროლი ვერ ხდება და არანაირი პასუხისმგებლობა არ აკისრია, ნახევარი მილიონი გადაუხადო და მისი გათავისუფლების გარანტიას არავინ გაძლევს. თანხის გადახდა მის უსაფრთხოებას არ ნიშნავს, ამის გათვლა წარმოუდგენელია.

**— სოსო ოსორაული საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდ. მან ნებით დატოვა ქართული ავიაცია, თუ ის სამსახურიდან გაათავისუფლეს?**

— სამწუხაროდ, სოსო ოსორაული შეიარაღებული ჯარებიდან ბევრჯერ არის დათხოვილი. პირველად ის ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის დროს გაათავისუფლეს, მეორედ კი ნახევარი წლის წინათ გაუშვეს. რა იყო ამის მიზეზი, ამაზე, ალბათ, თავდაცვის სამინისტრომ უნდა გიპასუხოთ, მაგრამ ამ კუთხით, რომ საკადრო პოლიტიკა ჩამოყალიბებული არა გვაქვს, ფაქტია.

**ელზა პაპოშვილი**

# მერიის მიერ მიწების გადაცემის საკითხის შესწავლაში პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი ჩაერთო

**მთავარმა პროკურატურამ ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების საექსპერტო შეფასებაში მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფის ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო.**

უწყების ინფორმაციით, ჯგუფის წევრები გაეცნობიან სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მოამზადებენ დასკვნას, სადაც მოცემული იქნება კონსულტაციები საქმესთან დაკავშირებით და რეკომენდაციები პროკურატურისთვის.

მთავარ პროკურატურასა და მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფს შორის შეთანხმება 2014 წელს შედგა – შეიქმნა პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც ქართველ პროკურორებს თავიანთ საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას უზიარებს.

მოწვეული სპეციალისტების ჯგუფს იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე სერ ჯეფრი ნაისი (Sir Geoffrey Nice), ისრაელის სახელმწიფოს ყოფილი სახელმწიფო პროკურორი მოშე ლადორი (Moshe Lador) და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის დანაშაულსა და რეკეტთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი პოლ კოფი (Paul Coffey) წარმოადგენენ.

გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას განცხადებით, თბილისის მერიის მიერ 2016 წელს მიწის ნაკვეთების გადაცემის კანონიერების შესწავლისას დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა. მთავარ პროკურატურაში გამოძიება ცალკეულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლებით დაიწყო.

გამოთხოვილია შესაბამისი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან, თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოდან და არქიტექტურის სამსახურიდან, ეკონომიკის სამინისტროდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან. გამოკითხულია მოწმეები. დათვალიერებულია მნიშვნელობის მქონე დოკუმენტაცია და ინფორმაცია. ჩატარებულია სხვადასხვა სახის არაერთი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება.

**აშშ-ში დაკავებულ ქართველებს შორის, სავარაუდოდ, ცნობილი სპორტსმენები ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი არიან, – ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი ავრცელებს.**

ავთანდილ ხურციძე WBO-ს ვერსიით, მსოფლიოს ჩემპიონია, ლევან მაყაშვილი კი შერეული ორთაბრძოლების UFC-ს მებრძოლი.

ამერიკის პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ დაკავებული ავთანდილ ხურციძე და ლევან მაყაშვილი ბრუკლინში ცხოვრობდნენ.

საქართველოს კრივის ფედერაციაში ფლობენ ინფორმაციას, რომ ორივე სპორტსმენი სწორედ ბრუკლინში ემზადება, თუმცა მათთან დაკავშირება და სავარაუდო დაკავების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება ამ დრომდე ვერ ხერხდება.

ხურციძე ამერიკაში ორი დღის წინათ გაემგზავრა და 8 ივლისს გასამართი მნიშვნელოვანი ბრძოლისთვის ემზადებოდა. ერთ თვეში ქართველი მოკრივე ჩემპიონის ქამრის დასაცავად ბრიტანელ ბილი ჯო სანდერსს უნდა დაპირისპირებოდა.

# აშშ-ში დაკავებულ ქართველებს შორის, სავარაუდოდ, ცნობილი სპორტსმენებიც არიან

ამერიკის პროკურატურის ინფორმაციით, ხურციძესა და მაყაშვილს ბრალი რეკეტში და თაღლითურ შეთანხმებაში მონაწილეობაში ედებათ.

ნიუ-იორკში 33 ადამიანს, მათ შორის ქართული კრიმინალური სამყაროს 15 წარმომადგენელს – ე.წ. კანონიერ ქურდებს, რუსული კრიმინალური სინდიკატის წევრობისთვის ბრალი წაუყენეს.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში ჩამოთვლილ ბრალდებულებს შორის ე.წ. კანონიერი ქურდის რაჟდენ შულაიას, ასევე ზურაბ ჯანაშვილის, აკაკი უბილავას, ჰამლეტ უგულავასა და სხვა კრიმინალების გვარები ფიგურირებენ.

რაჟდენ შულაიას მიერ ორგანიზებული კრიმინალური ქსელის საქმიანობა რეკეტს, ელექტრონულ ფინანსურ მაქინაციებს, სატვირთო გადაზიდვებზე გატაცებას, ადგილობრივი სამართალდამცველების მოქრთამვის, დოკუმენტებისა და ანგარიშ-ფაქტურების გაყალბების მცდელობას, ასევე სხვა დანაშაულს გულისხმობდა. დაკავებულებიდან 18 ადამიანი სასამართლოს წინაშე უკვე წარსდგა.

# დაკავებისას უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს

**პროკურატურაში** დ.გ.-ს დაკავებისას უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს, – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

**„საქართველოს სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პროკურატურისთვის წარდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც პოლიციელების მხრიდან დ.გ.-ს მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს შეეხებოდა, ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან დ.გ.-ს დაკავებისას უფლებამოსილების ძალადობით შესაძლო გადამეტების ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.**

გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო დ.გ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც 2017 წლის 7 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა დ.გ.-მ განაცხადა, რომ შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-10 განყოფილების თანამშრომლებმა 2017 წლის 5 ივნისს დაკავებისას, ქ.თბილისში, გლდანის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

**ამ ეტაპზე აქტიურად ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, რომელთა ამოწურვის შემდეგ მიღებული იქნება შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რის შესახებაც დამატებით ეცნობება საზოგადოებას“,** – ნათქვამია განცხადებაში.

◎ ჩვენი კარაბადინი

# „არასაპასხმელიო“ სინამდვილე

## (მითები ალკოჰოლიზმის შესახებ)

**ალკოჰოლიზმით დაავადებულთა მკურნალობაზე დაყოლიება, როგორც ექიმებმაც და მათ ახლობლებმაც კარგად იციან, ერთობ ძნელი საქმეა. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც ალკოჰოლის ჭარბად მომხმარებელთა უმეტესობას უჩნდება, თავდაპირველად თითქოს შეუმჩნეველია.**

ზოგადად კი ალკოჰოლის ზედმეტად მოყვარულთა აბსოლუტური უმრავლესობა მაშინაც კი უარყოფს საკუთარ ლოთობას, როცა ამ სენმა უკვე ძალიან ცუდი ფორმები მიიღო, რასაც როგორც სამსახურებრივი, ასევე საოჯახო ურთიერთობათა გამწვავება მოყვა.

უბედურება ის არის, რომ ალკოჰოლის ზედმეტად მოყვარულთა უმეტესობას მცდარად ჰგონია, რომ...

**შეიძლება ზომიერად სმა,** ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ ალკოჰოლის მოხმარების უსაფრთხო დონე მამაკაცებისთვის დღე-ღამეში სუფთა ეტანოლის 20-40 გრამის შუალედშია მოქცეული (50-100 გრამი არაყი), ქალებისთვის კი მის მაჩვენებელი 10-20 გრამია (25-50 გრამი არაყი). მაგრამ, ამჟამად ეს ნორმები გადაისინჯა, რადგან ცხადი გახდა, რომ თუკი ადამიანს კვირაში ერთხელ მაინც სჭირდება სპირტის დოპინგი, მაშინ ალკოჰოლის ამ მცირედი დოზებით მოხმარებაც კი ორგანიზმის მოწამლვას იწვევს.

**სინამდვილეში**. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ავადმყოფობა იწყება მაშინ, როცა კაცი მიღებული ალკოჰოლის ოდენობაზე კონტროლს კარგავს, რაც ქრონიკული ალკოჰოლიზმის პირველი სტადიაა. ამის შემდეგ „პახმელიაზე“ გამოსვლის სურვილი ჩნდება, რაც იმის ნიშანია, რომ სნეულება მეორე სტადიაში გადავიდა. ქრონიკული ალკოჰოლიზმი კი სისტემატური ლოთობის მე-5 წლის მანძილზე ყალიბდება, რომელიც არა მარტო ახალგაზრდულ, არამედ შუა ხნის და ჭარმაგ ასაკშიც შეიძლება წარმოიშვას. ავადმყოფობისგან განკურნვის ერთადერთი საშუალებაა მკურნალობა და ალკოჰოლის მოხმარების სრული შეწყვეტა.

გადაბმული სმისთვის თავის დანებება ოჯახური საშუალებებითაა შესაძლებელი. ალკოჰოლის მოყვარულები „პახმელიაზე“ გამოსვლის სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. ესენია, კერძოდ, თაფლიანი რძის, ბურახის, ლიმნის წვენის, მაგარი ყავის, ჩაის, ასპირინის, დამაწყნარებელი და საძილე საშუალებების მიღება.

**სინამდვილეში**. მძიმე შედეგებისა და ხელმეორედ ხანგრძლივი სმის მორევში ჩათრევისგან თავის ასარიდებლად საჭიროა დეტოქსიკაციის ატარება – ესაა ორგანიზმის შხამებისგან გაწმენდა, რომლებიც ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარების შედეგად წარმოიშვნენ, თუმცა კი ოჯახურ პირობებში ამის გაკეთება საკმაოდ რთულია. ამდენად, საამისოდ სტაციონარში დაწოლაა საჭირო, სადაც ავადმყოფს წვეთოვანის მეშვეობით სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებით გაჯერებულ პოლიიონურ ხსნარებს პირდაპირ ვენაში გადაუსხამენ.

**ნარკოლოგებთან მიმართვა სამარცხვინოა**. ეს იგივეა, რაც კაცმა თავი ალკოჰოლიკად ოფიციალურად აღიაროს.

**სინამდვილეში**. მნიშვნელობა არა აქვს იმას, კაცი თავისით მკურნალობს თუ სპეციალისტებს მიმართავს, მაგრამ თუკი იგი ერთი გადაბმული სმის პერიოდიდან მეორემდე ცხოვრობს, მაშასადამე ის, ფაქტობრივად, უკვე ალკოჰოლიკია. იმის მიუხედავად, რომ გადაბმული სმიდან გამოსვლას იგი თავისით მოახერხებს, მან მაინც უნდა მიმართოს ნარკოლოგს, რადგან მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია აქტიური ანტიალკოჰოლური მკურნალობის ჩატარება.

საიმისოდ, რომ ალკოჰოლის ჭარბ მიღებაზე ერთხელ და სამუდამოდ თქვათ უარი, საამისოდ მხოლოდ კოდირებაა საკმარისი.

**სინამდვილეში**. ალკოჰოლისადმი მიდრეკილება – ესაა არა მარტო ფიზიოლოგიურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც რთული პრობლემა, რომლის ფესვები ავადმყოფის ცხოვრების წესში, თვითაღქმაში, გარემოცვაში და ა.შ. ძევს. ამიტომაცაა, რომ უცხოეთში დიდად პოპულარულია ხანგრძლივი, 3-5 თვეზე გათვლილი ფსიქოლოგიური პროგრამები. მკურნალობა ტარდება როგორც სტაციონარებში, ასევე ამბულატორიებში – კვირაში 2-3-ჯერ პაციენტის 2-3-საათიან სეანსებს უტარებენ.

**მოამზადა**

**ნინო ალექსანდრიამ**

◎ ჭადრაკი

# ჯობავა ლიდერებს მიუახლოვდა

**მინსკში** მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-18 ჩემპიონატის (საპრიზო ფონდი 100.000 ევრო) მე-8 ტურში შესანიშნავად ითამაშა ბაადურ ჯობავამ — თეთრი ფიგურებით მან ბერძენ დიმიტრიოს მასტროვასილისს 51-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. დანარჩენ ჩვენებურთა პარტიები ასე დასრულდა: იან — კშისტოფ დუდა (პოლონეთი) — მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, დენის ხისმატულინი (რუსეთი) — დავით ჯოჯუა 0.5:0.5, თამაზ გელაშვილი — ემილ სუტოვსკი (ისრაელი) 0.5:0.5, ლუკა პაიჭაძე — იური კუზუბოვი (უკრაინა) 0.5:0.5, ბორის გრაჩევი (რუსეთი) — თორნიკე სანიკიძე 1:0, ლევან ფანცულაია — მილან პაჩერი (სლოვაკეთი) 0.5:0.5, ნოე თუთისანი — პეტერ მიხალიკი (ჩეხეთი) 0:1, ზურაბ სტურუა — ალისა გალიამოვა (რუსეთი) 0.5:0.5, ანტონიოს პავლიდისი (საბერძნეთი) — მერი არაბიძე 0.5:0.5.

მე-8 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში დავიდ ჰაუელმა (ინგლისი) დავიდ ანტონი (ესპანეთი) დაამარცხა და 7 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. 6.5-6.5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი. იგი შეჯიბრებაზე ევროპის საჭადრაკო კავშირის ეგიდით გამოდის) და ანტონ დემჩენკო (რუსეთი) ინაწილებენ. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: ბაადურ ჯობავა — 6, მიხეილ მჭედლიშვილი, დავით ჯოჯუა, თამაზ გელაშვილი, ლუკა პაიჭაძე — 5.5-5.5, ლევან ფანცულაია — 5, თორნიკე სანიკიძე, ზურაბ სტურუა — 4.5-4.5, ნოე თუთისანი, მერი არაბიძე — 4-4 ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ხელბურთი

# ქართველები პირველი შესარჩევით იწყებენ

**2018 წელს ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საფრანგეთში გაიმართება. ამ შეჯიბრების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დღეს იწყება. მეორე შესარჩევი რაუნდის ორი საგზურისთვის ექვსი გუნდი იბრძოლებს. A ჯგუფში ფინეთი, ფარერის კუნძულები, საბერძნეთი (ათენში) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას, B ჯგუფში კი ისრაელი, კოსოვო და საქართველო ითამაშებენ. საქართველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრები (ანა ვარდიშვილი, ქრისტინე ჯავახია, მარიამ გვათუა, თინა ქიტესაშვილი, მედეა ჩოხელი, ქეთევან ვენეცკი, ანა ყველაშვილი, ანა ქებაძე, ჯულია ჩირგაძე, ინა ჭკუასელი, ქეთი კუნელაშვილი, მწვრთნელი გიორგი გვაზავა, გუნდის უფროსი ლანა მარგიანი) კოსოვოს ქალაქ ჯაკობეში დღეს ისრაელს შეხვდება, ხოლო 10 ივნისს პრიშტინაში მასპინძლებს დაუპირისპირდება.**

საგულისხმოა, რომ საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ერთადერთხელ — 1994 წელს ითამაშა და მას შემდეგ 23 წელი გავიდა. ჩვენი ეროვნული გუნდი უმთავრესად 19 და 17 წლის გოგონებითაა დაკომპლექტებული, კოსოვოს და ისრაელს კი ზრდასრული, გამოცდილი ხელბურთელები ჰყავთ. ამდენად, კოსოვოში ჩვენების უმთავრესი მიზანი საერთაშორისო სარბიელზე თამაშის გამოცდილების შეძენა იქნება. მით უმეტეს, რომ 17-წლამდელებს წლეულს აგვისტოში (ლიტვა) ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით.

**პირველი შესარჩევი ეტაპი:**

**B ჯგუფი:** ისრაელი, კოსოვო, საქართველო (კოსოვოში).

**9 ივნისი.** 20:00, ჯაკობე. საქართველო — ისრაელი.

**10 ივნისი.** 20:00, პრიშტინა. კოსოვო — საქართველო.

**11 ივნისი.** 19:00, ისრაელი — კოსოვო.

მეორე შესარჩევი ეტაპი ორ წრედ 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივნისის ჩათვლით გაიმართება.

**ლაშა დიდია**

◎ პარასკევას სინდრომი

# მიველ, ვნახე კუნძული...

**ხომ გსმენიათ, თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მაშინ თავად მუჰამედი მიდის მთასთან.**

ადვილი შესაძლებელია, ისე ეწვიოს უამრავი ჩვენგანი მიქელ-გაბრიელს, სენტ-კიტსი და ნევისი ვერ მოინახულოს, მაგრამ ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს ეროვნულმა ნაკრებმა რომ დაგვდო პატივი და კავკასიური ტურნეს ფარგლებში გაგვაბედნიერა ვიზიტით (სომხეთში 0:5-ის შემდეგ), ფაქტია.

ვაკეში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი რომ შევსებულიყო, დაახლოებით იმ ციფრს მივიღებდით, რამდენსაც კარიბელთა მოსახლეობა შეადგენს. ეს ისე, სხვათა შორის, თორემ მთლად სახუმაროდ რომ არ გვქონია საქმე, შეხვედრამდეც ვიცოდით: სტუმრები ფიფას რეიტინგში სოლიდური უპირატესობით გვისწრებდნენ.

**საქართველო — სენტ კიტსი და ნევისი 3:0**
(პირველი ტაიმი 0:0)

დიახ, შეიძლება ბევრმა იქილიკოს, მაგრამ საამისო საფუძველი მათ მართლაც ექნებათ, რადგან ეროვნული ნაკრების ბიოგრაფია შევბღალეთ ისეთ მეტოქესთან ფრედ ნათამაშევი პირველი ტაიმით, რომელსაც თავმოყვარე გუნდი, წესით და რიგით, ნებისმიერი შემადგენლობით იოლად უნდა უსწორდებოდეს და, უფრო მეტიც — მეზობელი სომეხი მსაჯის რევერანსები არ უნდა სჭირდებოდეს (მაგალითად: მასპინძელთა კარში კუთხურის შემდეგ არჩათვლილი გოლი ან მათ სასარგებლოდ დანიშნული სადავო პენალტი).

ზემოთ შემადგენლობა ვახსენეთ და დავძენთ, რომ სწორედ ბრძოლაში შესვენების შემდეგ ჩაბმულმა არაბიძემ („დუბლი“) და დვალიშვილმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

ნეტავ მოლდოვაც კუნძულოვანი სახელმწიფო იყოს, სადაც 11 ივნისს მორიგი ევროშესარჩევი დუელი გველის.

**გიორგი ზოთაძე**

◎ ამჯერად — არაო

# თბილისი ბრძოლას გამოეთიშა

**თბილისი** და კერძოდ „დინამო არენა“ 2019 წლის ევროპა ლიგის ფინალის მასპინძლობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. **უეფამ ოფიციალურად შეამცირა იმ ქალაქთა ნუსხა, რომელთაც 2018-2019 წლების სეზონის ევროტურნირებზე გადამწყვეტი მატჩების მასპინძლობა შესაძლოა მიენდოს.**

ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი რაუნდი 2019 წლის გვიან გაზაფხულზე ან მადრიდში გაიმართება („მეტროპოლიტანოზე“, „ატლეტიკოს“ ახალი სტადიონი), ანაც ბაქოში (ოლიმპიურ სტადიონზე). რაც შეეხება ევროპა ლიგის ფინალს, აქ სამი კანდიდატურაა შერჩეული: სევილია („რამონ სანჩეს პისხუანი“), სტამბოლი („ვოდაფონ არენა“) და იგივე ბაქოს ოლიმპიური სტადიონი. აქვე გეტყვით, რომ თავდაპირველად თბილისიც იყო კანდიდატთა შორის, თუმცა, როგორც ჩანს, უეფამ ამჯერად არჩევანი სხვა ქალაქებზე შეაჩერა.

რაც შეეხება 2019 წლის ევროპის სუპერთასის მატჩს, იგი ტირანაში, ტულუზაში, ჰაიფაში, ასტანაში, ბელფასტში, გდანსკში ან სტამბოლში (ისევ „ვოდაფონ არენაზე“) მოეწყობა.

საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა 21 სექტემბერს მიიღებს და სწორედ მაშინ გვეცოდინება სამივე მატჩის მასპინძელი ადგილი. აქვე გეტყვით, რომ 2018 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალს კიევი უმასპინძლებს.

**კობა კობახიძე**

◎ ლეგიონერი

# ერთი ნაბიჯი საჩემპიონო ბეჭდამდე

**ნაციონალური** **საკალათბურთო ასოციაციის სუპერფინალური სერიის მესამე შეხვედრაში „კლივლენდი“ შინ „გოლდენ სტეიტთან“ 113:118 დამარცხდა. ზაზა ფაჩულია და ოკლენდელები ფინალს 3:0-ს იგებენ და საჩემპიონო ბეჭდამდე ერთი გამარჯვებაღა აშორებთ.**

ზაზა სასტარტო ხუთეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 13 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 1 პასი და 1 მოხსნა შესძინა. ფაჩულიამ ორქულიანი სამჯერ ესროლა, თუმცა, უშედეგოდ.

„გოლდენ სტეიტმა“ ნბას ახალი რეკორდი დაამყარა — „მეომრებმა“ პლეი-ოფში თხუთმეტივე ბრძოლა მოიგეს.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მესამე პერიოდის ბოლოს „კავალიერზსი“ 5 ქულას იგებდა. მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ისევ „კლივლენდი“ იყო წინ — 113:107, თუმცა, ლებრონ ჯეიმსმა და მისმა თანაგუნდელებმა დარჩენილ დროში ერთი ქულის ჩაგდებაც კი ვეღარ მოახერხეს, ხოლო „მეომრებმა“ 11 ქულა მიითვალეს და 118:113 იმარჯვეს.

ლებრონ ჯეიმსმა გუნდს 39 ქულა, 11 მოხსნა და 9 პასი შესძინა, კაირი ირვინგმა — 38 ქულა, მაგრამ ამ მრისხანე დუეტს თანაგუნდელებმა ფეხი ვერ აუწყვეს და ამიტომაც წააგეს. „გოლდენ სტეიტში“ კევინ დურანტი 31 ქულით გამოირჩა, ტომპსონს 30 ქულა ჰქონდა, კარიმ კი ორმაგი დუბლი შეასრულა — 26 ქულა, 13 მოხსნა.

მომდევნო და შესაძლოა სერიის უკანასკნელი შეხვედრა კლივლენდში ხვალ თბილისის დროით დილის 5 საათზე დაიწყება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ სანთელი

# სერგო კუტივაძე

**72 წლისა** **გარდაიცვალა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კუტივაძე. უძლიერესი დარტყმებით გამორჩეული ნახევარმცველი 1962-1966 წლებში ავტოქარხნელთა რიგებში თამაშობდა შემდეგ ექვსი წელი „დინამოში“ გამოდიოდა, ხოლო ერთი მატჩი საბჭოეთის ნაკრებშიც ჩაატარა.**

1974-1984 წლებში თბილისის „დინამოს“ სამწვრთნელო შტაბში გახლდათ, სადაც ნოდარ ახალკაცის თანაშემწედ მუშაობდა იმ ბრწყინვალე პერიოდში. 1994-1995 წლებში „დინამოს“ მთავარი მწვრთნელიც იყო...

გახსენება

# რაულ შველიძე

მესამე წელი გადის უშენოდ, ტკივილი თანდათან უფრო მწვავდება და, ალბათ, ჩვენთვის არც არასდროს განელდება. გამოთქმა — დრო ყველაფრის მკურნალიაო, ეტყობა, ყოველთვის ვერ ამართლებს.

თურმე რა ბედნიერი და უდარდელი ცხოვრებით ვცხოვრობდით შენთან ერთად და რა დიდი ადამიანი ყოფილხარ ჩვენ გვერდით. საოცარ პატივისცემას და სიყვარულს გამოხატავენ დღემდე ის მეგობარ-თანამშრომლები, ვისთან ერთადაც შენ ეროვნული საქმეები გიკეთებია. იდექი იქ, სადაც ქვეყანას სჭირდებოდა. საკმარისია დღემდე შენი თაობის სამართალდამცავ მუშაკებთან წამოგვცდეს შენი სახელი, მაშინვე დიდ მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავენ და ეცილებიან ერთმანეთს შენს პროფესიონალიზმზე საუბარში.

შენ არ გქონდა ბავშვობაში ფუფუნებით სავსე ცხოვრება, ალბათ, ამიტომ გამოგყვა საუკეთესო კაცური თვისებები. ყოველთვის პირველი იყავი ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში, გეღვაწა შენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, არც მთავრობას დაუშურია მამაცობისთვის ჯილდოების მონიჭება. არ არსებობს ისეთი დადებითი კაცური თვისებები, შენ რომ არ გქონოდა (ნადირობა, თევზაობა, ჭირში თუ ლხინში გვერდში დგომა, ავკარგიანობა). ყველაფერს ასწრებდი და ყველაფერიც მოასწარი. ალბათ, ყოველივე ამის სანაცვლოდ დაგაკლდა საუკეთესო წლები.

დატოვე საუკეთესო ოჯახი და ოჯახის დედა. შენი სული ლოცავს მათ და უფლის წყალობით საუკეთესოდ მისდით საქმეები, არიან კაცთმოყვარეები, საქმიანები, დიდ მომავალს ვუწინასწარმეტყველებთ შენს ზაქარიას.

ვაი, რომ შენს მიმართ ვერაფერს შევცვლით.

დღეს ოჯახი აღნიშნავს შენი დაბადების 67 წლისთავს, მართლა ბედნიერებაა, ღმერთმა შენისთანა პიროვნება რომ მოავლინა ამქვეყანას.

ვევედრებით უფალს, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული. გვწამს, ასეც იქნება, რადგან ნათქვამია, ხორცისა და სულის გაყრის შემდეგ, თუნდაც ერთი ადამიანის გულში მაინც თუ განაგრძე სიცოცხლე, ჩათვალე, რომ ცოცხლობ და კიდევაც დიდხანს იცოცხლებ.

ვალერი და ლამარა კანკიები

სანთელი

# გურამ მგელაძის გახსენება

წელიწადი შესრულდა კვების მრეწველობის, პურპროდუქტების დარგის ერთ-ერთი გამორჩეული პროფესიონალის **გურამ მგელაძის** გარდაცვალებიდან. მის სახელს უკავშირდება მაკარონის, საფუარის და პურის საწარმოების ამუშავება და ექსპლუატაციაში შესვლა. ქართული სულისკვეთებით აღზრდილს ყოველთვის გათავისებული ჰქონდა ქვეყნის ჭირ-ვარამი და ნებისმიერი პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, პოზიცია რომ არ დაეფიქსირებინა. განსაკუთრებული სიყვარული გააჩნდა საქართველოს ძირძველი კუთხის — აფხაზეთისა, რადგანაც მისი მშობლები იქ მოღვაწეობდნენ და დიდ ქართულ საქმეს ემსახურებოდნენ. ბატონმა გურამმაც თავისი სიყრმე სწორედ იქ გაატარა.

შესანიშნავი მეოჯახე, არაჩვეულებრივი მამა და ბაბუა, უაღრესად ყურადღებიანი კოლეგებისადმი მუდამ გვერდით მდგომი. ასეთი გახლდათ იგი. მიმდინარე წლის 11 ივნისს კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს მის ხსოვნას, ხსოვნას კაცისას, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა ამქვეყანაზე.

პურის მრეწველთა კავშირი

# მიწისძვრა საქართველოში

**კახეთის** გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილის ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად სიღნაღში ერთი სახლი დაზიანდა. საზოგადოებრივთან საუბარში მან აღნიშნა, რომ „არსად გამოვლენილა სერიოზული ზიანი, თუ არ ჩავთვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტში ერთ კერძო სახლს, რომელსაც ბზარი შეამჩნიეს“.

მისივე თქმით, ჯერ დასადგენია, აღნიშნული ბზარი რამდენად უკავშირდება 7 ივნისის საღამოს მომხდარ მიწისძვრას.

„სხვა შეტყობინება ამ დრომდე არ ყოფილა და უახლოეს საათებშიც არ მგონია, რამე შეიცვალოს“, — აღნიშნა ქადაგიშვილმა.



კახეთის გუბერნატორის ინფორმაციით, 7 ივნისს ღამით მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში რწმუნებულებმა მთელი ღამის განმავლობაში ყველა შესაძლო ლოკაცია დაათვალიერეს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 7 ივნისს, საღამოს საქართველოში 5.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. სტიქიის ეპიცენტრი იყო ქალაქ დედოფლისწყაროს დასავლეთით 25 კმ-ში, სოფელ გამარჯვებიდან 18 კმ-ში.

თავდაპირველად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სტიქიის ეპიცენტრი იყო ქალაქ სიღნაღიდან სამხრეთ-დასავლეთით — 22კმ. სოფელი ქვემო ბოდბედან — 15კმ.

შვილები დავით, მაია ჯინჯოლავები, რძალი ია შალვაშვილი, სიძე გელა ვეფხვაძე ოჯახებით, ძმისშვილები ზაური, ნატო ჯინჯოლავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**პალადი ჯინჯოლავა**

პანაშვიდი 9-10 VI, 17 სთ. ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი (ყოფილი პავლოვის ქუჩა) 29/2, მე-6 სადარბაზო, მე-6 სართული. დაკრძალვა 11 VI, 15 სთ. ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის ეკლესიიდან ვაჟა-ფშაველას გამზირი 33 (სამედიცინო ინსტიტუტის მიმდებარედ).

# კიევის ინციდენტი ტერაქტად შეაფასეს

**კიევში** მომხდარ ინციდენტს პოლიციამ ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. უკრაინის დედაქალაქის ცენტრში ამერიკის საელჩოს ტერიტორიაზე დაუდგენელმა პირმა სავარაუდოდ ხელყუმბარა ააფეთქა. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. სამართალდამცველები ტერორისტის ვინაობის დადგენას ცდილობენ.

# სავალალო სტატისტიკა

**ინფექციური** პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ინფორმაციით, საქართველოში აივ ინფიცირების ყველაზე მეტი, 2196 შემთხვევა თბილისშია რეგისტრირებული.



მეორე ადგილზე 837 შემთხვევით სამეგრელოა, მესამეზე კი იმერეთი — 825 შემთხვევით.

ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, ვირუსმატარებელთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია აჭარაშიც, სადაც 731 ადამიანია ინფიცირებული.

აღსანიშნავია, რომ ინფიცირების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმში (12 შემთხვევა) და სხვანეთში (26 შემთხვევა) ფიქსირდება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში სულ აივ-ით ინფიცირების 6382 შემთხვევაა გამოვლენილი. აქედან 251 ახალი შემთხვევა 2017 წელს დაფიქსირდა.

საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა 1989 წელს გამოვლინდა.

* * *

საქართველოში აივ ინფიცირების გამომწვევ მიზეზთაგან ყველაზე დიდი წილი ჰეტეროსექსუალურ კონტაქტზე მოდის.

როგორც ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრის სტატისტიკიდან ირკვევა, აივ ვირუსის გადაცემის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ინექციური ნარკომანიითაც.

მესამე ადგილზე კი ჰომოჰბი სექსუალური კონტაქტია.

საქართველოში აივ მკურნალობაზე აფხაზეთში 449 მცხოვრებია.

პაციენტთა უმრავლესობა 29 დან 40 წლამდეა.

ვირუსმატარებელთაგან 4752 მამაკაცია, 1630 — ქალი. აქედან შიდსი განუვითარდა 3562 პაციენტს, რომელთაგან 1292 გარდაიცვალა.

# ამოღებულია დიდი რაოდენობით ნარკოტიკი

**შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული ვ.დ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის ბრალდებით, სარფში დააკავეს.**

სამართალდამცველებმა, ვ.დ.-ს პირადი ჩხრეკისას, 81 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 0,634542 გრამ ბუპრენორფინს შეიცავს.

**გეო ჰოლდინგი**

**გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.**

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:**

**ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811**

geo-holding.net

**სამუშაო საათები:**

**ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე**

**შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.**

# კონკურსი „თბილისი“ ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდა

**თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა პრესკონფერენცია გამართა და კონკურსი „თბილისი“ ოფიციალურად გახსნილად გამოაცხადა.**

დეპუტატის განცხადებით, კონკურსი „თბილისი“, რომელიც წელს უკვე მესამედ ჩატარდება, ქართულ სახელოვნებო და ლიტერატურულ სივრცეში ერთგვარი ნოვაციაა და შემოქმედების ისეთ სფეროებს მოიცავს, როგორებიცაა: პროზა, პოეზია, ფერწერა, მუსიკა, ფოტოხელოვნება, ქანდაკება, არქიტექტურა, ასევე სკოლის მოსწავლეებისათვის გათვალისწინებული – „წლის საუკეთესო ესსე““ და ჟიურის სპეციალური პრიზი.

**„კონკურსი „თბილისი“ ერთიან შემოქმედებით დისკუსში ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა გაერთიანებისთვის ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენს, ხოლო შემოქმედებითი გარემოს სტიმულირება, რომელიც თბილისის კულტურული პოლიტიკის ღერძია, ხელოვანთა მოტივაციითა და მათთვის შემოქმედებითი მუხტის მქონე სივრცის შექმნით მიიღწევა“,** – განაცხადა თამარ ტალიაშვილმა და პროცესში უცხოეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლების ჩართულობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

**„ნაწარმოებებს ქართველი ემიგრანტებისგანაც ვიღებთ, მაგალითად, შარშან კონკურსის ფერწერის ნომინაციაში გამარჯვებული ესპანეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მხატვრის ნამუშევარი გახდა“,** – განაცხადა დეპუტატმა.

როგორც ბრიფინგზე აღინიშნა, კონკურსში „თბილისი“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილი ნაწარმოები განიხილება და კონკურსანტს თითო ნომინაციაში მხოლოდ ერთი ნამუშევრის წარმოდგენა შეუძლია.

ასაკობრივი შეზღუდვა არ გააჩნია არც ერთ ნომინაციას, გარდა ერთისა – ნომინაცია სკოლის მოსწავლეებისთვის – „წლის საუკეთესო ესსე“, რომელშიც თემატიკა ყოველწლიურად განსხვავებულია. წელს ესსეს თემებია: „ილიას საქართველო“, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება.

გამარჯვებულებს საკრებულოსგან ფულადი ჯილდო და მოქანდაკის გია ჯაფარიძის მიერ კონკურსისთვის შექმნილი ხოხბის ქანდაკება გადაეცემათ, ხოლო სპონსორები მათთვის სპეციალურ ფასიან პრიზებს აწესებენ.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო ნამუშევრები 8 სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ.

გამარჯვებულების დაჯილდოება „თბილისობის“ ღონისძიებების ფარგლებში მოხდება.

◎ ინტერნეტიდან

# ტიფანი და ირლანდიური ფეხბურთი

**ამერიკაში მოღვაწე ირლანდიელი მოდელი ტიფანი სტენლი, რომლის მამაც თურმე ნაკლებად ცნობილი ირლანდიელი მოთამაშე ყოფილა, ბავშვობიდან დაინტერესებულია ფეხბურთით (ამერიკელები რატომღაც „სოკერს“ რომ ეძახიან) და მისი ეს ინტერესი დღესაც არ განელებულა.**

სანამ მშვენიერი ტიფანი სხვადასხვა სტილისა და ხარისხის აზღუდებს იზომავდა და პოდიუმზე კეკლუცობდა, მანამდე ირლანდიაში და ირლანდიურ ფეხბურთში მრავალი რამ მოხდა და დღეს ჩვენი საწყალი ქართული ფეხბურთისა არ იყოს, ირლანდიაშიც ადგილობრივ კლუბებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ოცნებობენ.

ტიფანის ფეხბურთისადმი ინტერესიც სწორედ ამ დროს გახდა საჭირო და მნიშვნელოვანი – უცნობი ირლანდიური დაბალლიგელი კლუბის „ვინდ სიტის“ მენეჯერმა ტიფანი სტენლის თავად სთხოვა დანაზოგის მცირე ნაწილი ჩვენს კლუბში ჩადეო და ჩვენ თუ ვერა, ღმერთი მაინც გადაგიხდისო. ირლანდიურ საკლუბო ფეხბურთში კი ისეთი მდგომარეობაა, მართლაც მხოლოდ ღმერთის იმედი თუ ექნებათ...

**როსტომ რაჭველიშვილი**

# დღის ძილქუში

**მედიკოსთა შეფასებით, სხვადასხვა სახეობის ძილის დარღვევას განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 45 პროცენტი უჩივის, რის ერთ-ერთი ფორმა დღის განმავლობაში დაძინების სურვილია.**

ხშირად გემართებათ, რომ, ვთქვათ, ლექციაზე, ან მოსაწყენ თათბირზე ყოფნისას ძილი გერევათ? ამის გამო ნუ ღელავთ, ვინაიდან ამის მიზეზი, უწინარესად, უფრო ფიზიოლოგიური ხასიათისაა და ღამის ძილის დაკლებით, ანდა მოჭარბებული ემოციური, ინტელექტუალური ან ფიზიკური დატვირთვებითაა გამოწვეული.

დღისით „თვალის მოხუჭვის“ სურვილი სავსებით ბუნებრივია სხვა საათის სარტყელში გადაადგილებისას, ნოყიერი სადილის შემდეგ ანდა გაციებისას. ასეთი მდგომარეობა ხშირად ახლავს ორსულობას, რაც ქალის ორგანიზმის ჰორმონალური გადაწყობითა და მშობიარობისადმი მისი მომზადებითაა განპირობებული.

ამასთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმაც შეიძლება, რომ დღისით დაძინების სურვილი, შესაძლოა, ზოგიერთი წამლის გამოყენებითაც იყოს განპირობებული, თანაც აუცილებელი არ არის ეს ტრანკვილიზატორები, ანტიდეპრესანტები ანდა ნეიროლეპტიკები იყოს – ასეთი ეფექტი ხშირად ანტიჰისტამინური პრეპარატების მოხმარებასაც ახლავს.

# თუ დიდხანს სიცოცხლე გსურთ...

**მეცნიერებმა სიცოცხლის გამხანგრძლივებელი სპორტის სახეობები დაასახელეს.**

აღმოჩნდა, რომ ხანგრძლივ სიცოცხლეს ხელს უწყობს ველოსპორტი (ის ყველა მიზეზით სიკვდილიანობის რისკს 15 პროცენტით ამცირებს), ცურვა (დადებითი ეფექტია 28 პროცენტი) და ჩოგნიანი სპორტის სახეობები (ჩოგბურთი, სკვოში, ბადმინტონი – 47 პროცენტი).

აღმოჩნდა, რომ სირბილი და ფეხბურთი სიცოცხლეს არ ახანგრძლივებენ და არც გულის სისხლძარღვთა დაავადების გამო სიკვდილის რისკს არ ამცირებენ.

# წყალი და მისი შემცველები

**დღე-ღამის განმავლობაში ადამიანმა 2-3 ლიტრი სითხე უნდა მიიღოს, თანაც აუცილებელი არ არის, რომ ეს მაინცდამაინც წყალი იყოს.**

ამ შემთხვევაში მთავარია მოცულობა, რომლის უზრუნველყოფა ნაწილობრივ წყალს, ნაწილობრივ კი სხვა სასმელებს, მათ შორის წვნიან კერძებს შეუძლია. რძე და ნებისმიერი ჩაი – კარგი და სასარგებლო სასმელებია. წყლის ყავით შეცვლა კი არ ღირს, ვინაიდან ის ორგანიზმში სითხეს აკავებს. წვენების, კომპოტებისა და სხვა ტკბილეული სასმელების მიღება, შაქრის მაღალი შემცველობის გამო, ზომიერადაა საჭირო.

ცნობისთვის კი ვიტყვით, რომ ჭიქა წვენი ან გაზიანი სასმელი იმდენივე კალორიას შეიცავს, რამდენიცაა მაკარონიან ქათამში. თავად წყალი კი ოდნავ თბილი ან ოთახის ტემპერატურისა უნდა იყოს, ოღონდ არა ცივი.

# ფარული ჰიპერტონიის საფრთხე

**ჯანმრთელი ახალგაზრდების 16 პროცენტს, თურმე ... ფარული ჰიპერტონია აქვს.**

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ჰიპერტონია ახალგაზრდებში უფრო ხშირია, ვიდრე ჭარბი წონის მქონე ხანდაზმულ პირებში.

გამოუცნობი მაღალი წნევის მთავარი საფრთხე კი ის ყოფილა, რომ მასთან დაკავშირებულ მდგომარეობას კაცი ნორმად აღიქვამს და, ამდენად, ინფარქტის და ინსულტის საფრთხის ჯგუფში ხვდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.4088; ევრო - 2.7022;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1090;
100 რუბლი - 4.2482; თურქული ლირა - 0.6841;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4286;
1000 სომხური დრამი - 4.9936.

**ამინდი 9 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +13 | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე | +30 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +12, | დღე | +33 |
| **თბილისი:** | ღამე | +18, | დღე | +30 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge